საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. კვირა 16 მარტი 1919 წ. პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

№ 69 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 69 60

გაზ. „ერთობის“ 1 თვით 18 მანეთი ფასდება ნომერი ეღირება 75 კაპ. განცხადების ფასი, როგორც მირეულ გვერდზე, ისე ფოლიოზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს ეკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც პიწერ-მოწერას კისრულობს.

ბელის მოწერილებში ფული-წერილები ადრესით უნდა გამოგზავნონ: ავლაბარი, ტ. ...ის ფული № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ოდოლისი, ...ნის ბრუსვლეტი № 24.

ტელეფონი 16—62.

ულრმეს მწუხარებაში ყოფნი: დედა ეკატერინა, ცოლი თამარი, შვილი გრიშა, ძმა გიორგი, დები მარო და ნატაშა, სიძენი: გერასიმე ანდღულაძე და ხარიტონ მაზარაძე, დეიდა ესმა, დეიდაშვილები: ნარიო და ნატაშა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 12 მარტს სამხედრო საავადმყოფოში გარდაიცვალა მტრის მიერ ვერაგულად დაჭრილი

დათიკო ფარნაოზის ძე მგელაძე

დასაფლავება მოხდება კვირას 16 მარტს, ცხედარს გამოსალვენებენ სამხედრო საავადმყოფოდან დილის ათ საათზე და დასაფლავებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პატივისმცემლებს ვსთხოვთ მოგრძანდენ გოსპიტლის 1 კორპუსთან. (3—3)

შვილი ნიკოლოზ, რძალი კატო, ძმის წულები ისიდორე, შვილის შვილები: მაშა და ლიდია ნიკოლაიშვილები, სიძე და ქალიშვილი: ასლან და ანეტა, შვილის შვილი ვანია დოლიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ცამეტ მარტს ქ. თფილისში რკინის გზის საავადმყოფოში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი დაუვიწყარი მამა, ბიძა და ბაბუა

ვლადიმერ ოსიას ძე ნიკოლ იუვილი

მწუხარებაში მყოფი შვილები: ვიქტორიკა და რძალი ეფროსინე კიბარეები, ქალები მეუღლითურთ: მატრონა და დანოსი შვილებით: ნადია, ქსენია, გრიშა, ცუცა, ნუკა და არსენა ლასარეიშვილები. დომნა და ანდრი შვილებით: იასონი, ქსენია, ანტონ, ანნა და პარასკევა კაკაბიძეები; ადათი და დორითე შვილებით: კაკო და კოტიკა ბოკუჩავები და სიძე ბესარიონი შვილებით: ბატაია, ალექსანდრა, ლუბა და ბუკია გუგუშვილები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, კვირას, 16 მარტს, ქ. თფილისში დილის 10 საათზე დანიშნულია წვრილი და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი დედის

დარია გიორგის ასულ კიზირიასა

სულის მოსახსენებელ კუკის წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

ლრმათ დაჩაგრულნი დედ-ძმა დ. მიტრი და ხადი ჭელ ძეები შვილებით: ანდრია, შალვა, კალენიკე, ილია, მარო და ბალინდარი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 23 მარტს (ძ. სტ.) ს. ბახვის ღვთის მშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასის და მათთვის დაუვიწყარის სად. სადახლოსთან ბრძოლის დროს გმირულათ დაღუპულის სადახლის სადაურის უფროსის

აპაკი დიმიტრის ძე ჯელიძის

სულის მოსახსენებელათ.

გურია სამეგრელოს ფოსტა ტელეგრაფის მოხამსახურეთა საერთო გამგეობა ლრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს საერთო გამგეობის წევრის

ვანო ს. ფაჩულიას

გარდაცვალებას. გამოსვენება და დასაფლავება მოხდება ს. ხორგაში კვირას 16 მარტს.

უბედური მამა სიმონ, ძმები: ანანია და ივანე, დები მატრონე და თეკლონე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ათ მარტს ქ. თფილისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასესი და დაუვიწყარი

გრიშა (გრიგოლ) სიმონის ძე კოკიძე

დაკრძალვა დანიშნულია ქ. თფილისში წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დანიშნულია კვირას 16 მარტს დილის ათ საათზე საკუთარი ბინიდან ლისინის შესახვევი № 4 მისავალი ვედზინის ქუჩით.

ეკატერი, თამარი, შვილი ავთანდილი, მამა ესე, დედა ანა და დეიდა მარიამ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ათ მარტს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასესი ნათლია

გრიშა (გრიგოლ) სიმონის ძე კოკიძე

გამოსვენება და დასაფლავება დანიშნულია კვირას 16 მარტს დილის ათ საათზე საკუთარი ბინიდან ლისინის შესახვევი № 4, მისავალი ვედზინის ქუჩით. დაკრძალვა მოხდება წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

ლრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მარო, შვილი ელენა, მშობლები: მამა სისო, დედა ილენა, დები: ფედოსია და აგრა ფარულიები, პირველის მშობლები პავლე და ნინა ალერძანიები, სიძე პარმენი ბერიძე ოჯახობით, მეორის სიძეები ბესარიონი ყუფარაძე, ლავრენტი წიბაშვილები, დეიდა ბე; სალომე ბარქალაია, ელენა ბალანდარაშვილი შვილგბითურთ ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ტრადიკულად გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი ახალგაზრდა მოქალაქე ახალციხის ფოსტა ტელეგრაფის მოხელე

ივანე სისოს ძე ფარულია

დაკრძალვის დღე დანიშნულია 16 მარტს (ძ. სტ.) ოდბა ხობში. (1—1)

ქალაქთა კავშირის ურიდოგა

დღეს გაიხსნება თფილისში საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის ყრილობა, რომლის დღიურ წესრიგში სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხთა შორის დასმულია კითხვა მთავარ კომიტეტის არჩევისა.

ქალაქის თვითმართველობა ისე, როგორც ერობა, ორგანოა არა მარტო ადგილობრივ თვითმართველობის, არამედ მართველობისაც, ის წარმომადგენელია ცენტრალურ მთავრობის და ამიტომ უაღრესად სახელმწიფოებრივი ინსტიტუტია.

მართალია, თვითმართველობას აქვს დამოუკიდებელ მოქმედების უფლება ადგილობრივ საქმეებში, მაგრამ ასეთი დამოუკიდებლობა არ უნდა სცილდებოდეს კანონის და მიზანშეწონილების ფარგლებს. მაღლობა ღმერთს, ჩვენ გვყავს დემოკრატიის მიერ საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული დამფუძნებელი კრება.

სამწუხაროთ, ჩვენი ნორჩი თვითმართველობა თითქოს სულ სხვა გზას ადგება და გამარტივების ნაცვლად კიდევ უფრო რთულ ორგანიზაციებს ჰქმნის. ერობის ცენტრის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა გამოთქმული ჩვენი აზრი და დღეს გვსურს ორიოდე სიტყვით შევეხოთ ქალაქთა კავშირს.

როგორც ვიცით, ეს კავშირიც თავისი ორგანიზაციით ნაშთია ძველი ურთიერთობის: ის დაიბადა იმ დროს, როცა ცენტრალურ ბიუროკრატიულ მთავრობასა და ადგილობრივ თვითმართველობათა შორის სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა და ადგილობრივი ხალხი სცდილობდა, რაც შეიძლება მეტი უფლება გამოეგლიჯა ხელიდან ცენტრალური მთავრობისათვის.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქალაქთა კავშირს დღეს მრავალი ისეთი საქმე აბარია, რაც ცენტრის ხელში უნდა იყოს. ასეთია მისი მრავალი განყოფილება: მედიკო-სანიტარული, იურიდიული, ტეხნიკური და სხვა, რაც აუარებელ ხარჯებს და ენერგიას ითხოვს. ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ქალაქთა კავშირის სხვადასხვა დარგების და მათი მოსამსახურეთა შტატის ჩამოთვლა, რადგან ეს თუ ყველამ არა, ქალაქების თვითმართველობებმა მაინც იციან. ქალაქებმა იციან აგრეთვე, რომ ქალაქთა კავშირი ვერ ახერხებს მათი ინტერესების ჯეროვანათ დაკმაყოფილებას.

საჭიროა, რომ დღევანდელმა ყრილობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, რაც შეიძლება ჩქარა გადაწყვიტოს ორორგანიზაციის საკითხი და კავშირის გამარტივებას მკვიდრი საფუძველი ჩაუყაროს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყრილობა პირნათლათ შეასრულებს იმ დიდ მოვალეობას, რომელსაც მას დემოკრატია აკისრებს.

ჟურდოგ ს ფსიხოზი

გენერალ მაიორი ომხაძე შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებს: ფოთის სასურსათო ძალაზიიდგან სისტემატიურათ იპარავენ შაქარს. ქურდები ვერც ერთხელ ვერ აღმოვაჩინეთ. იძულებული ყარ შაქარი თფილისში გადმოვიტანა და იქიდან, შემდეგ ნაწილ-ნაწილობით ჩამოვტანო ფოთში ჯარისთვის.

იპარავენ სისტემატურათ, ქურდები ერთხელაც ვერ აღმოვაჩინეთო. ეი დღეანდელი მოშენტის ერთი დამახასიათებელი თვისება. ქურდობა მასიურ მოვლენათ გადაიქცა. ადარ იცი ვის ენდო და რა ენდო, ყველა ფიქრობს ხელი მოითბოს, ჯიბე გაისქელოს და სანოგადო ნდობა და მოვალეობა თავის პირადი საქმეების მოსაწყობათ გამოიყენოს. დღეს „შოვნის დროა“—ვინც მოასწრებს—ის მოიგებს—ეი ლოზუნგი, რომლის გარშემო ტრიალებს მთელი ორონტრიალი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ვინ გინდა რომ ხელს არ აპოტინებს, ვინ გინდა რომ ამ „შოვნისთვის“ თავს არ რგავდეს სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში. ქურდობამ თითქოს ლეგალური ხასიათი მიიღო, ის ადარც ამღლვებს თითქოს არავის. ქურდები დარწმუნებული არიან, რომ მათ ვერავინ დასჯის და ასე არ ხეინით დასეირნობენ და განაგრძობენ რესპუბლიკის გაძარცვას.

რევოლიუციურ ხანაში ცხოვრების ფსკერზე დაკრეფილი ყოველგვარი სიბინძურე ზედა-პირზე ამოტივტივდება ხოლმე. ასე ყოფილა ყველგან, ასეა ჩვენშიც. მაგრამ განსხვავებაი მაშინ, რომ ყველგან, ყველა რევოლიუციურ ეპოქაში ასეთ მოვლენებს სასტიკათ ებრძვიან. ჩვენში კი ყველაე ვიტაბტონები არხეინათ დასეირნობენ ზ ამაყობენ კიდეც თავის ხვლობით. რას აკეთებენ ადგილობრივი ადმინისტრატორები? რას აკეთებენ ადგილობრივი ორგანოები? ან იქნება რესპუბლიკის გაძარცვა—გაქურდვა ისეთი უმნიშვნელო რაღაა, რომ დირსი არაა მათი ყურადღების?!.

საჭიროა სასტიკი ზომების მიღება. საჭიროა ქურდობის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა. საჭიროა მათი სასტიკი დასჯა.

პრესა

დამფუძვებელი კრების შესახებ.

„ულოვორდი ძაინ“ (სომ. „სახალხო პარტიის“ ორგანო) ფლიცავს საქართველოს დამფუძნებელ კრების გახსნას და სწერს:

„თუმცა ჩვენ, საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობანი, შეძლებას მოკლებულნი ვართ მონაწილეობა მივიღოთ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, მაგრამ მაინც საჭიროთ ვთვლით ხაზ გასმით აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ჩვენ არას დროს წინააღმდეგი არ ვყოფილვართ ქართველ ხალხის სამართლიან მისწრაფების—იცხოვროს თავი უფლათ, დამოუკიდებლათ და მოაწესრიგოს თავისი პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური მდგომარეობა, როგორც ეგ უკარნახებს მას ეროვნულ თავისებური თვისებები.

„რადგანაც დამფუძნებელი კრება საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოა არა მარტო ქართველ ხალხისა, არამედ—ყველა სხვა ტომის მცხოვრებთა, რომელნიც საქართველოში ცხოვრობენ, ჩვენ ამიტომ არ შეგვიძლია დავიწყოთ მისი შემადგენლობის ცალმხრივობა და ეროვნულ უმცირესობების წარმომადგენლების შიგ არ ყოფნა. ეს ისეთ სახელმწიფოებრივ დაწესებულებაში, რომლის დადგენილებები უნდა საუკუნეებულო და უდავო იყვნენ ყველა ტომის ერებისთვის, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ. და რადგანაც ასეთი მდგომარეობა შეიქმნა იმის წყალობით, რომ საქართველოს სომხობა კანონის გარეშე იყო გამოცხადებული და არ შეძლო მონაწილეობის მიღება დამფუძნებელ კრების არჩევნებში, როგორც შეეფერებოდა მის რაოდენობას, ამიტომ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დამფუძნებელი კრების წევრები შეიგნებენ ამ არა-ბუნებრივ მდგომარეობას, ეცდებიან რამდენიმეთ საჭირო და ძირითადი საკითხების გადაჭრის შემდეგ ჩასთვალონ კრება დაშლილათ და მოიწვიონ ახალი დამფუძნებელი კრება, რომლის არჩევნების დროს არ იქნება დარღვეული ეროვნულ უმცირესობათა უდავო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებანი.

„ასეთი საკითხების რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე ქვეშერდომობის კანონი, რომელიც თავის გამოურკვეველობის წყალობით ბევრ უკანონობის და თვითნებობის მიზეზად ხდებოდა, და ამიტომ ბევრი სოფები აგრეთვე სხვა უცხო ტომის ხალხი, საქართველოს მოქალაქენი, ვერ შეეიდნენ ამრჩევლების სიებში და მონაწილეობა ვერ მიიღეს იმ დაწესებულების შემადგენლობაში, რომლის დამუშავებულ კანონებს მომავალში უნდა დაემორჩილონ. ჩვენ გვგონია, რომ დამფუძნებელი კრების წევრები ნათლად შეგნებული არიან, რომ ხალხს თვალში ავტორიტეტი ეკნება მხოლოდ იმისთანა სახელმწიფოებრივ დაწესებულობას, რომელიც შედგენილია ყველა მცხოვრებლების მონაწილეობით.

„და თუ ეგ არ იქნება, ზემოხსენებული დაწესებულება იქნება არა ბუნებრივი მოვლენა, უალაგო დამატება სახელმწიფოებრივი აპარატისა და დამყარებულ ქვეშაზე.

„ამ მოსაზრებით ჩვენ გულითადათ ვფლოცავთ ქართველ ხალხს დღევანდელ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ხელიმ და ვიმედოვნებთ, რომ იგი თავისი ამორჩეულების სახით შეიგნებს ამ დაწესებულების დიდ ნაკლს და ეცდება გასწოროს ის შეცდომები, რომელთა წყალობით მომავალში შეიძლება დაიბადოს პოლიტიკური და სხვა გვარი გართულებანი, რომლებიც არ იქნებიან სასურველი არც ერთი მხარისათვის. ჩვენ ამ შენიშვნაზედაც იგივე უნდა ვთქვათ, რაც „აზხტავორის“ შენიშვნის გამო დავსწერეთ.

სოციალების მთავარ რაიონებს ჯერ არ მიუღიათ მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ უკვე არის დამფუძნებელ კრებაში რამდენიმე წარმომადგენელნი თითქმის ყველა ეროვნულ უმცირესობისა. ჩვენი ბრალი არ არის, თუ ისინი არ იზიარებენ „ულოვორთი ძაინის“ პოლიტიკურ მიმართულებას.

დამფუძნებელი კრება

14 მარტის ხხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

დღეს წესრიგი: 1) პრეზიდიუმის წევრთა არჩევნები; 2) მთავრობის განცხადება; 3) სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენება; 4) სამანდატო კომისიის არჩევა.

უფროსი მდივნის არჩევა.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია უფროს მდივნად ასახელებს კონსტანტინე ჯაფარიძეს, რომელიც ერთხმად არჩეულ იქნა. მთავრობის სახელით განცხადებას აკეთებს ნ. ყორდანია, რომელის გამოსვლას კრება მხურვალე ტაშის ცემით ხვდება. (ეს განცხადება ქვემოთ იბეჭდება). მთავრობის განცხადების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „შეწყვარებულ იქნას განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ და დაევალოს იმავე მთავრობას განაგრძოს რესპუბლიკის საქმეთა მართვა ახალი მთავრობის შედგენამდე“.

მთავრობის თავმჯდომარის არჩევა.

რ. არსენიძე (ს. დ). დამფუძნებელი კრების მუშაობის პირველი აქტი უნდა იყოს მთავრობის შედგენა. დღეს ყველაზე უფრო ჩვენს რესპუბლიკას ესაჭიროება მტკიცე მთავრობის შედგენა. ნგრევა-რღვევის ხანაში მთავრობა ყველგან სუსტობს. ამიტომ ჩვენ ისეთი ორგანიზაცია უნდა შეექმნათ, ისეთი პირნი უნდა ავირჩიოთ, რომელსაც ენდობა დამფუძნებელი კრება და რომელიც ანგარიშს გაუწევენ მის (დამფ. კრ.) სურვილს. რაც შეეხება მთავრობის შედგენას, ჩვენ ამის შესახებ ჯერ კონსტიტუცია არა გვაქვს დაწერილი, მაგრამ სამაგიეროთ გვაქვს პრაქტიკა, როგორც ჩვენი, ისე სხვა სახელმწიფოების. პრაქტიკა კი შემდეგს გვეუბნება: მთავრობას დამფუძნებელი კრება ან თვით ირჩევს, ან ის ირჩევს მხოლოდ ერთ პირს და მას ანდობს მთავრობის შედგენას. როცა ერთი პირი ადგენს მთავრობას, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს: ამ შემთხვევაში მთავრობაში არის თანხმობა, მთლიანობა სურვილისა ზ მთავრობის წევრთა შორის კონფლიქტებს ადგილი არა აქვს. ჩემი დებულებები ასეთია: დამფუძნებელმა კრებამ აირჩიოს ერთი პირი. ეს პირი მთავრობის თავმჯდომარე იქნება. მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის წარმომადგენელი და დამფუძნებელი კრების ნება-სურვილის გამოხატველი იქნება.

შ. ნუცუბიძე. სოც. ფედერალისტთა სახელით უნდა განვაცხადო, რომ ჩვენი ფრაქცია მთავრობის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს.

თავმჯდომარე კითხულობს სოც. დემ. ფრაქციის წერილობით წინადადებას: რესპუბლიკის მთავრობის შესადგენად დამფუძნებელი კრება ირჩევს ერთ პირს, რომელიც იქნება მთავრობის თავმჯდომარე. მთავრობის თავმჯდომარე იმავე დროს არის უმაღლესი წარმომადგენელი რესპუბლიკისა.

გ. გვაზავა (ნ. დ.) პირველი ნაწილი წინადადებისა დარჩეს, ხოლო მეორე ნაწილი დღეს მოხსნილ იქნას, რადგანაც ჯერ კონსტიტუცია არა გვაქვს და მივანიჭებთ თუ არა პრემიერს ასეთ უფლებას ეს სადავო საკითხია.

ი. გოგიჩაია (ს. რ.) მე წინადადება შემოვაქვს მეორე ნაწილი მოხსნილ იქნას.

პ. ხაყვარელიძე (ს. დ) ბ. გვაზავამ განაცხადა, რომ მთავრობის თავმჯდომარისათვის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობის მინიჭება საკონსტიტუციო საკითხია და ამიტომ უნდა მოიხსნასო. განა მთავრობის შედგენა საკონსტიტუციო საკითხი არ არის? განა პრემიერი იგივე წარმომადგენელი არ არის? პრადათ ნოე ყორდანია განა არ იყო აღჭურვილი დღემდე ასეთი უფლებით? დიახ, იყო და საჭიროა საქმისათვის დამფუძვებელმა კრებამ ეხლაც მიანიჭოს მას ეს უფლება. სახელმწიფოს

ამ მიზნით ისეთ ცნობების გავრცელება, რომ ეროვნულ უმცირესობებს თავის წარმომადგენელი არ ჰყავსო, არ შეეფერება სინამდვილეს და არც „ულოვორთი ძაინს“ უნდა ენებებინა ამისი თქმა, თუ იგი თავის თავს პატივს სცემს და უნდა სხვასაც პატივისცემით მოეპყრას.

ბ. ნინოშვილი (ს. ფ.) ჩვენ წინადადებიგი ვართ ს. დ. წინადადების მეორე ნაწილისა. ეს უაღრესად კონსტიტუციონალური საკითხია. თქვენ გინდათ ეს უფლება ახლა მიანიჭოთ მთავრობის თავმჯდომარეს. ამით შექმნათ პრეზიდენტი და კონსტიტუციის შემუშავების დროს დამფუძნებელი კრება ფაქტის წინაშე დააყენოთ. ჩვენ მოვითხოვთ წინადადების მეორე ნაწილი მოხსნილ იქმნას.

რ. არსენიძე (ს. დ.) ამ საკითხს აქ არ უნდა გამოეწვია კამათი. სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი, რომელთანაც უნდა მივიდენ კონკრეტიული საკითხების გამო უცხო თუ შინაური წარმომადგენლები. წარმომადგენელი აუცილებლად საჭიროა. ეს უფლება უნდა მიენდოს ან კოლეგიას, ან ერთ პირს. ჩვენ დღეს არ ვწერთ კონსტიტუციას, ჩვენ ვიღებთ პრაქტიკას. პრაქტიკა კი ასეთია: მთავრობის თავმჯდომარეს ფაქტიურად ეს უფლება ქონია. ჩვენ არ გვინდა ვინმეს ქონდეს ისეთი უფლება, რომელიც დამფუძნებელ კრებას არ მიუნიჭებია მისთვის. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყოველგვარი უფლება გამოდიოდეს დამფუძნებელი კრებიდან. ამიტომ ჩვენ უნდა მივცეთ მთავრობის თავმჯდომარეს ის უფლებები, რომელიც ფაქტიურად მის ხელში იქნებ.

კენჭის ყრით წინადადების პირველი ნაწილი ერთხმად იქნა მიღებული. წინადადების მეორე ნაწილში **გ. გვაზავას** შეაქვს შესწორება, რომ სიტყვა უმაღლესი ამოშლილ იქნას.

პ. ხაყვარელიძე. ამ შესწორების მიღება შეუძლებელია. რესპუბლიკას მრავალი წარმომადგენელი ჰყავს, მაგრამ სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს უმაღლესი წარმომადგენელი.

წინადადების მეორე ნაწილი მიღებულ იქნა. წინადადდეგ მისცეს ხმა სოც. ფედ. და ს. რევ.

რ. არსენიძე. სოც. დემოკრატიული ფრაქცია მთავრობის თავმჯდომარეთ ასახელებს ნ. ყორდანიას და მასვე ანდობს მთავრობის შედგენას. (ტაში და ოვაციები. დეპუტატები ფეხზე დგებიან). კენჭის ყრის დროს სოც. რევ. და სოც ფედ. თავი შეიკავეს.

შემდეგ სახელმწიფო კონტროლიორი აკეთებს მოხსენებას სახელმწიფო კონტროლის მდგომარეობის შესახებ.*)

შემოტანილ იქნა რიგ გარეშე წინადადება სოც. დემოკრატიულ ფრაქციის მიერ, ახალციხის ამბების გამოსარკვევად არჩეულ იქნას კომისია დამფუძნებელ კრების მიერ. წინადადება მიღებულ იქნა. არჩეულ იქნენ ს. დემ. მხრივ: გ. ანჯაფარიძე და მამედოვი. ს. ფედ. მხრივ: ს. ფირცხალავა. ნაც. დემ.—პეტრე სურგულაძე.

სამანდატო კომისიის არჩევა.

ნ. ციცეაძეს ს. დემ. ფრაქციის სახელით წინადადება შეაქვს სამანდატო კომისია შესდგეს 7 წევრისაგან. სამანდატო კომისიაში არჩეულ იქნენ: გ. ფურცელაძე (ს. დ.) ი. ჭავჭანიძე (ს. დ.), თ. კიკვაძე (ს. დ.), გ. ცისკარიშვილი (ს. დ) ალ. ასათიანი (ნ. დ.), ი. ბარამიშვილი (ს. ფ) და გ. ნათაძე (ს. რ.).

თავმჯდომარე. მრავალი მისალოცი დეპეშები არის მოსული. თუ ნებას მომცემთ წაგიკითხავთ მხოლოდ ზოგიერთს.

*) ამ მოხსენებას შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

ᲓᲦᲔᲡ

მოჰკლეს ავღანისტანის ემირი. კვლელობის მიზეზი გაურკვეველია. დაპატიმრეს ორი.

ამერიკის მუშა ქალთა წარმომადგენლები საზავო კონფერენციაზე ვილსონმა დანიშნა ორი ქალი, რომლებიც პარიზში ჩასვლამდე ლონდონში მიეგლენ მუშა ქალთა ორგანიზაციებთან სათათბიროთ.

ნიუ იორკში ხომხების ბერძნების და ებრაელების მრავალრიცხოვანმა კრებამ ვილსონს ხოხოვა, რათა მან საზავო კონფერენციაზე მხარი დაუჭიროს ხომხეთის და ებრაელთა სახელმწიფოების აღდგენას ოსმალეთის ფარგლებში.

პოლონეთის ხამხედრო შტაბის ცნობით პოლონელებმა ბალშევიკები დამარცხეს.

ბალშევიკების ცნობით ბერლინში სახტიკი ხამოქალაქო ომია. მოკავშირეთა ჯარები დღეიდან მიდიან. ბერლინი მოხალისეთა ჯარმა დაიკავა.

თავმჯდომარის წინადადება მიღებულია წყალთხულ იქნა ებრაელთა ნაციონალურ საბჭოსაგან, მუსულმანთა ეროვნულ საბჭოსაგან, გერმანელთა ნაც. საბჭოსაგან, სომხეთის მთავრობისაგან, სომხეთის საბჭოსაგან, ადერბეიჯანის პარლამენტისაგან, სამტრედიის საბალხო გვარდიისაგან, სახალხო გვარდიის საველე შტაბისაგან, სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტისაგან და ოვანეს თუმანიანისაგან. დეპეშების კითხვას დეპუტატები ტაშის ცემით შეხვდენ. დამფ. კრების თავმჯდომარეს დაევალა საპასუხო დეპეშების გაგზავნა. შემდეგი სხდომა დაინიშნა 18 მარტისთვის.

ა.კ. ხ.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ნოე ჟორდანია. საქართველოს რეს პუბლიკის მთავრობა მდაბლათ თავს გიკრავთ, გისურვებთ კეთილ მობრძანებას და თან გეთხოვებათ.

მთავრობამ მიიღწია ერთ თავის ძირითად მიზანს, მოიწვია საქართველოს ნამდვილი ბატონ პატრონი, შეჰყარა დამფუძნებელი კრება და აი ახლა მას შეუძლია თქვენს წინაშე განიმეოროს სიტყვანი მოხუცი მიმრწმენელი სიმეონისა.

მაგრამ სანამ დავტოვებდეთ ჩვენს პოსტს, სანამ გადავიქცეოდეთ ერთ თქვენთაგანთ და მანდ თქვენს შორის ჩაეჯდებოდეთ, მანამდის საჭიროთ მიგვაჩნია დამფუძნებელი კრება შევიყვანოთ სახელმწიფო საქმეთა მდგომარეობაში, გავაცნოთ რა იყო მთავრობა, საიდგან წოდიოდა და საითკენ მიდიოდა ის.

საქართველოს მთავრობა არსებობს დღიდან საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებისა. ხოლო ეს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოხდა საქართველოს გარეშე მდგომ ძალების ზე გავლენით, მისი საგარეო საქმეთა მსვლელობის პროცესში. ერთი მხრით რუსეთის ჩვენი ქვეყნიდან წასვლა, მეორე მხრით ოსმალეთის მოსვლა—აი ამ ორმა ისტორიულმა მოვლენამ დაბადა ჩვენი დამოუკიდებლობა, როგორც აუცილებელი საშუალება ამ ქარტეხილში თავის გადარჩენის და ისტორიული წარღვნისაგან თავის დაღწევის.

მთავრობის წინაშე იდგა ერთი მთავარი მიზანი, რომლის მიღწევისათვის მას უნდა შეეწირა მოელი თავისი ძალონი. მას ცხოვრებამ დაუყენა ერთი ამოცანა, ერთი დილემა და ეს დილემაა ის, თუ რა გზით შეეძლებოდა ამ პატარა ერის მისი პატარა საშუალებებით ბოსტრებისაგან გადარჩენას და მის კულტურულ და ეროვნულ არსებობის შერჩენას.

ჩვენ დიდი რუსეთის ფრთებს ქვეშ შეფარებული, თავის მოვლას და ბატონობას გადაჩვეული მოულოდნელათ დავრჩით ჩვენი თავის ამარა და აი ამ გარემოებამ უკარნახა მთავრობის მოქმედების გეზი, მოწოდების გეგმა.

საგარეო საქმეთა მსვლელობამ მისცა დასაბამი საქართველოს მთავრობას და შინაარსი მის მოღვაწეობას. და ჩვენ დღეს თამამათ შეგვეძლია განვაცხადოთ, რომ ეს ისტორიული დანიშნულება მთავრობამ გაამართლა, მსოფლიო ომი დასრულდა ისე რომ საქართველო უფნებლათ გამოვიდა მსოფლიო ციცხლის რკალიდან, ხოლო დიდი რევოლუცია სრულდება ისე, რომ საქართველომ თავი დაადგინა, როგორც ანარქიას, ისე რევოლუციის მონაპოვართა დაკარგვას.

მაგასადამე ჩვენ გვაქვს დღეს სამგვარი ნაყოფი:

საგარეო მეუდრეობა,

საშინაო მეუდრეობა,

რევოლუციის ყველა მონაპოვარი.

არც ერთი დამფუძნებელი კრება არ შეკრებილა ასრულ ასეთ ხელსაყრელ საზოგადოებრივ პირობებში, ყველა იძულებული იყო ეს სამივე ნაყოფი თვით მოეპოვებია, თვით ებრძოლა მათვის და ის განეხორციელებია.

ჩვენ დამფუძნებელი კრების ყოველივე ეს დახვდა მზა მხარეული და მას დარჩენია მხოლოდ ამ ნაყოფის განვითარებისათვის შესაფერი პოლიტიკური და იურიდიული კალაპოტის შექმნა და მუდმივი საგარეო მეუდროების დამკვიდრება. რანაირათ მოხდა ეს? როგორ მივაღწიეთ ამ მიზანს?

მთავრობა იყო იმ აზრის, რომ საგარეო სიმტკიცეს მოგვცემს მხოლოდ შინაური სიმტკიცე. გარედან მოსული მტერი მოუგარეთ გაუმაგრდებით იმდენათ, რამდენათ ჩვენ შინ შევძლებთ ერთი დიდი ფრონტის შექმნას და მასზე შეურყევლათ დაყრდნობას.

ამ ფრონტის შექმნა კი შეიძლება მხოლოდ რევოლუციის მონაპოვართა ნიადაგზე, ხალხის დარაზმვა დემოკრატიული დროშის გარშემო.

დროშა რევოლუციის და დემოკრატიის გახდა დროშათ ჩვენი შინაური ერთობის, ჩვენი ნაციონალური სიმტკიცის ტ საგარეო გაბედვრებიდან თავის გადარჩენის, აი ეს დროშა გახდა მთავრობის დროშათ ტ მას ვემსახურებით ჩვენ.

ჩვენ არ წამოგვიყენებია არც ერთი ისეთი ლოზუნგი, არ მიგვიღია არც ერთი ისეთი კანონი თუ განკარგულება, რომელიც მოგვაშორებდა ერის სასიცოცხლო ელემენტებს და მათ მაგიერ შეგვმატებდა უსიცოცხლო და დროშეშმული წრეებს. ის, რაც ისტორიამ და რევოლიუციამ უარყო, უარყოფილ ჩვენც ის, რაც ისტორიამ და რევოლიუციამ სასიცოცხლოთ მოიწვია—მას ჩავფრინდით ჩვენც და მათგან შეეკარით ერთი მტკიცე რევოლიუციური და სახელმწიფო ძალა.

პირველათ ჩვენში შეიქნა მთავრობა, რომლის გარეშემო შემოკრება ყველა დემოკრატიული და რევოლიუციური ორგანიზაცია, მთავრობა, რომელსაც უპროტესტოთ ემორჩილება მთელი დემოკრატია, მთელი ერი. ასეთი მთავრობა ჯერაც არ შექნილა რუსეთის არც ერთ კუთხეში, არც ერთ ერში, ეს იქ მომავლის საქმეა. და ახლა, როგორიც უნდა იყოს ეს მთავრობა, ვინც უნდა შეიტიოდეს შიგ—ეს ძალა მას ექნება, მხოლოდ ერთი პირობით კი—ის არ უნდა გადასცდეს დემოკრატიის, რევოლიუციის ნიადაგს. ამ პირობის გარეშე ვერც ერთი მთავრობა ვერ იარსებებს, მის გარეშე იწყება ანარქიის და კონტრ-რევოლიუციის შავი უფსკრული, რაიცა თან ჩაიტანს დამოუკიდებლობასაც.

აი ასეთია ის საერთო პოლიტიკური კალაპოტი, რომელშიაც მიძრაობდა, მოქმედებდა და თავის მიზნისაკენ ვიდოდა მთავრობა და მასთან ერთად მისი წარმომშობი პარლამენტი.

ეს ორი ორგანო, ერთი კანონმდებლობით, მეორე მართველობით ხელიხელ გაყრილი მოდვაწეობდენ ტ ერთხელაც მათ შორის არ ჩამოვარდნილა კონფლიქტი. ამიტომ ჩვენ არ გვგვიცდია ეგრეთ წოდებული კაბინეტის კრიზისები.

თავისთავად ცხადია, რომ ამ საერთო პრინციპებს—ჩვენ ვატარებდით ცხოვრებაში არა მის ქადაგებით და სხვა იდეიური საშუალებით, არამედ კონკრეტული ზომებით, სხვადასხვა რეფორმებით. ამ ზომებთა შორის მთავარი ადგილი უჭირავს თავდაცვის ზომებს—ე. ი. შეიარაღებულ ძალებს და დიპლომატიას.

პირველი განყოფება ორათ—გვარდია და შუდმივი ჯარი. ახალია გვარდია, ძველია შუდმივი ჯარი, და აი ამ მათი თვისებებიდან წარმოსდგა მათი დირსება-ნაკლულევანება. გვარდია შექმნა რევოლიუციურ ტალღებში საუკეთესო მოწინავე ელემენტებისაგან და ეს ინსტიტუტი ჩვენ დავაკანონეთ. ბევრი იყო მისი მოწინააღმდეგე, მარა მისმა საქმეებმა ახლა თვით ურწმუნონიც კი დააწმუნა მის აუცილებლობასა და დიად სახელმწიფო სარგებლობაში.

გაცილებით მეტი ყურადღება იყო მიქცეული შუდმივი ჯარისაკენ, მარა აქ ჩვენმა ცდამ ვერ გამოიღო საჭირო ნაყოფი. ამის მთავარი მიზეზია, რასაკვირველია, ოთხი წლის ომი, ყაზარმა ხალხს შესძულდა და ვიქვამ, არა თუ ჩვენში, არამედ ევროპაშიაც შესაძლებელი გახდეს საკმაო შუდმივი ჯარის ყოლა და მისი დიდხანს დამაგრება. ჩვენ ამ მხრით გვმართებს რეფორმის მოხდენა, დროსათვის ანგარიშის გაწევა, მარა ერთი კი მაინც ფაქტია—ჩვენი შეიარაღებული ძალის საშუალებით ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი საშინაო და საგარეო მეუდროება. ჯარი და გვარდია გაჭირების დროს თავის სიმაღლეზე იდგენ და მტერთ ებრძოდენ.

რასაკვირველია, ამას მარტო ხმლით ვერ შევძლებდით, რომ აქ დიპლომატიაც არ მრგვეველებოდა, და თუ პატარა რესპუბლიკების ძალებს ჩვენი ძალითვე გავუწორდებოდით, დიდ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებას დაჭერა მხოლოდ დიპლომატიური გზით შეგვეძლო და ჩვენც სავსებით ვისარგებლეთ ამით. მოკავშირეებთან მეგობრული განწყობილება გვაქვს, დელეგაცია საზავო კონგრესზე გავგზავნეთ და ჩვენ ეშვიც არ შეგვდის იმაში, რომ ჩვენ ხალხთა ლიგაში შევალთ, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის.

მეზობელ რესპუბლიკებთან მეგობრული დამოკიდებულებაა, სომხეთთან დიპლომატიური კავშირი აღდგენილია, გადადგმულია ნაბიჯი მათთან უფრო მჭიდროთ დაკავშირებისა.

ყველა ეს მოითხოვდა **ხარჯებს**, ერთობ დიდ ხარჯებს და თუ მივიღებთ სახეში იმას, რომ საქართველოს სახელმწიფო ხაზინას დღიდან ბალშევიკების გადატრიალებისა, 1917 წ. ოქტომბრიდან, ცალი კაპეიკი არ მიუღია რუსეთიდან—ადვილათ წარმოიდგენთ ჩვენს ფინანსიურ გაჭირვებას. ხოლო, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ—ხაზინა სრულიად ცარიელი იყო. მიუხედავათ ამისა დღემდე სული მაინც მივიტანეთ ისე, რომ არავითარი საგარეო ვალი არ გვქვია. მართალია შემოსავლის წყარო ფინანსიური თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მარა ბონების ბეჭდვის მეტი სხვა გზა არ გვქონდა. ამას მოყვა ფულის კურსის დაცემა, ე. ი. გამოცემული ბონები ჩვენი დეფიციტია, საშინაო სესხია, მარა საგარეო სესხი ყველა ამ ვნებას მოგვიტანდა და იმავე დროს უცხო ძალის მოვალე გავხდებოდით. ამავე დროს მთავრობა ლიბულობს ყოველ დონეს მოიწყო გადასახადების ახალი სისტემა, ამკრეფი აპარატი, ახალი დამოკრები, და სხ. და სხ. ყველა ამ ზომამ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წელ თვის მოგვცა 69,044,000 მ., თუ მას რკინის გზის შემოსავალ 27,114,000 მ. მიუმატებთ, გამოვა, რომ ხაზინის შემოსავალი პირველ იანვრამდის ყოფილა სულ 96 158,000 მ., ხოლო გასავალი კი იყო 342 244,000 მ. დეფიციტია 246,086,000 მ.

იმავე ხნის განმავლობაში ჩვენი საგარეო ვაჭრობა უდრიდა: შემოვიტანეთ უცხოეთიდან 140,929.260 მან., ხოლო გავიტანეთ 87,494,105 მან. მაშასადამე ჯამი ჩვენი საგარეო ადებ-მიცემობისა გასული წლის უკანასკნელ ექვს თვეს უდრიდა 228.843,336 მან. შემოზიდვა აღემატება გაზიდვას 53,435,095 მან., რაიცა აიხსნება იმით, რომ ჩვენ ვსაჭიროებთ უფრო პურს და შაქარს. მთავარი ვაჭრობა გვქონებია უკრაინასთან—უდრის 110 მილიონს, შემდეგ შედის რუსეთი 50 მილიონი, ოსმალეთი 32 მილ., ადერბეიჯანი 6 მილ., სომხეთი მილიონი, დანარჩენები 56 მილ.

მრეწველობის მხრივ თითქმის არაფერი ახალი არ გაკეთებულა ამ ხნის განმავლობაში, თუ სახეში არ მივიღებთ ტყეებულის ქვა-ნახშირის დამუშავებას რკინის გზის საჭიროებისათვის.

როგორც ხედავთ, ვაჭრობა, მრეწველობა და გადასახადთა სისტემა ჯერ კიდევ არ დგას იმ დონეზე, რომ სახელმწიფოს დეფიციტი ამ საშუალებიდან დაგვეფარა. მართალია, გვაქვს ერთი დიდი დარგი, რომელზედაც ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ, მარა ჯერ-ჯერობით კი ეს საქმეც ვერ იძლევა საჭირო შემოსავალს. მე მოგახსენებთ სახელმწიფო ქონებაზე. აგრარული რეფორმის წყალობით სახელმწიფოს ხელშია დღეს დაგროვილი ორმილიონ დესეტინამდე ტყე, ნახევარ მილიონამდე სახნავი მიწები, რვაას ათასამდე საძოვარი, კურორტები თავის სასახლეებით, მადნეული წყლები, მადნები და სხვ. მაგრამ ყველა ეს, როგორც ახლად მიღებული, საჭიროებს შესაფერათ მოწყობას, დაყენებას, შესაფერ სამეურნეო და საექსპლოატაციო აპარატების შექმნას, რაიც დიდ ხარჯებს ითხოვს. უწყების ყარაულით წელს ეს ქონება მოგვიცემს 90 მილიონ მანეთს, ხოლო დაახარჯება 71 მილიონამდის. აქ, რასაკვირველია, ჩათვლილი არ არის სახნავი მიწების გადაცემა გლეხებზე კერძო საკუთრებათ თანახმათ პარლამენტის დადგენილებისა, საიდანაც მოველით არა ნაკლებ ორასი მილიონი მანეთისა, რაც, რასაკვირველია, ჩვენს ფინანსებს გაუმჯობესებს დროებით. მარა ვერ მოსპობს დეფიციტს.

როგორც ხედავთ, მთავარი ძალები ჩვენი სახელმწიფო მოთხოვნილებისა, გარდა თავის დაცვისა გარეშე და შინაურ მტერთაგან, არის ფინანსიური მდგომარეობა, რის გამოკეთება საბოლოოთ დაგვაყენებს მტკიცე, შეურყეველ საფუძველზე. ჩვეულებრივათ, სახელმწიფო გასავალი იფარება უმთავრესათ გადასახადებით; სახელმწიფოს აშენების პროცესში გადასახადის აკრეფა ძნელდება, ვინაიდან ადმინისტრატიული აპარატები დარღვეულია, ქონებრივი მდგომარეობა ირეული და გამოურკვეველია, არა თუ აკრეფა, გასაგერია იმის თქმა, თუ ვის უნდა დაადვა გადასახადი, ვის ხელშია დაგროვილი გადასახადის სგანი—ქონება. დღეს, ამ სპეკულიაციის ხანაში, ძნელია ქონების კადასტრის შედგენა, ვინაიდან დღევანდელი დარბი, ხვალ უცებ მდიდარი ხდება, ხოლო დღევანდელი მდიდარი, ხვალ ღარიბდება.

ჩვენს ფინანსიურ მდგომარეობას ამძიმებს რკინის გზა, რომელიც იძლევა დიდ დეფიციტს. ეს აიხსნება თვით ამ გზის მუშაობის წეს-რიგით. ეს გზები იძულებული იყვენ თავისივე საშუალებით გადაეყვანა ჯერ რუსეთის ეშელონები, მერე გერმანელი და ოსმალთა ჯარები, შემდეგ კიდევ ოსმალები და ბოლოს ინგლისელები. ასე თავს დაატყდა მეტად დიდი ტვირთი და ყოველივე ეს უნდა ეზიდა არსებული ტეხნიკური საშუალებით. ამით, რასაკვირველია, ეს საშუალებანი გაცვდა, გადნა, გამოცვლა არ შეიძლება და მხოლოდ მის შეკეთებით ვცხოვრობთ. გარდა ამისა, სათბი მასალის თავის დროზე უქონლობისა, ეკონომია მრეწველობის სისუსტე, საქონლის გადაზიდვა გადმოზიდვის ნაკლებობა, საუკეთესო მუშების და მოსამსახურეთა ხშირათ გვარდიაში ფრონტზე გამგზავრება და მუშაობას ჩამოცილება—აი ყველა ეს ქმნის რკინის გზათა დეფიციტს, მისი შემოსავლის ნაკლებობას.

როგორც ხედავთ, ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა მჭიდროთ შეკავშირებულია მსოფლიო ომის შედეგებთან და როგორც კი საერთო ზავი დამყარდება, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება—ფინანსებიც, რასაკვირველია, სხვა სახეს მიიღებენ და ჩვენ ფდეფიციტოთ შეგვეძლება ვიცხოვროთ, თუ კი, რასაკვირველია, შესაფერი საშინაო პოლიტიკური ურთიერთობა შევქმენით.

ამ მხრით მთავრობა და პარლამენტი გამუდმებულ მუშაობდა. ერობათა შემოღება, ადმინისტრაციის მოწყობა, მოსრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შექმნა, სამართლის და სწავლის გაეროვნებით ხალხთან დაახლოვება და სხვ. და სხვ.

მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება მთავრობის მოქმედებას შრომის სფეროში. მიუხედავათ დიდი სიძვირისა და გაჭირვებისა, ჩვენ თავიდან ავიცილეთ გაფიცვები. ერთათ-ერთი დიდი გაფიცვა მოხდა ტყიბულის მაღაროებში, მარა აქ ისეთი ახირებული და შეუძლებელი მოთხოვნილებანი იქნა წამოყენებული, რომ ის მთავრობასთან ერთათ დაგმო მთელმა შეკავშირებულმა მუშათა კლასმა და ასე მოვახდინეთ მისი ლიკვიდაცია უმტკივნეულათ. ეს აიხსნება იმით, რომ მუშათა კლასი სრული ნდობით ეპყრობა მთავრობას და ის დარწმუნებულია შრომის ინტერესს დაიცავთ საწარმოოო ძალთა განვითარების ფარგლებში. ჩვენმა შრომის სამინისტრომ არა ერთი და ორი გამზადებული გაფიცვა თავის ჩარევით ჩაიქრო, რაიცა ამტკიცებს იმასაც, რომ პატრონებიც საკმაოთ ნდობით ეპყრობიან უწყებას. მაგრამ, მიუხედავათ ყველა ამისა, მუშის ხელფასის კითხვა დგას მთელი თავისი სიმწვავით. ქირის მომატება არ სჭრის ამ კითხვას, ვინაიდან ცხოვრების გაძვირება კიდევ უფრო მატულობს და ასე მუშა მაინც გაჭირვებაში ვარდება. ამ კითხვის მოწესრიგება შეუძლებელია, მანამდის ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა არ გამოკეთებულა და სახალხო მეურნეობა ნორმალურ კალაპოტში არ ჩასდგება. ერთი მთავარი ელემენტი ამ გამოკეთებისა არის შრომის ნაყოფის გამრავლება, შრომის განთავისუფლება. რაც მეტი ღირებულება იქნება შექმნილი, მით უფრო მეტი სიმდიდრე გროვდება, მით უფრო მეტ ღირებულებას მოვიზიდავთ გარედამდან და ასე ავსწევთ ჩვენს ვალიუტას და ფულის კურსს. შრომის ნაყოფიერების დაცემა ერთი მიზეზია დღევანდელ ეკონომიურათ დასუსტების და მაშასადამე შრომის პირობების გაუარესებისაც. საწარმოო ძალთა განვითარებაში დღეს ერთანირათ დაინტერესებულია სახელმწიფო, მუშა, გლეხი და მრეწველი.

აი ასეთია საერთოთ ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი მდგომარეობა; მე არ მოგახსენებთ იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს დღეიდან, ეს თქვენი და თქვენ მიერ შექმნილი მთავრობის საქმეა; მე გაგაცანით მხოლოდ არსებული მდგომარეობა, და ვამბობთ, რომ რაც შეგვეძლო—ვიმუშავეთ, რუსეთის სხვა სახელმწიფოებთან და ერებთან შედარებით ჩვენი სახელმწიფო გემი მშვიდათ მოვიყვანეთ თქვენამდის, ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონებამდის, აი ჩაიბარეთ ეს გემი, მიიღეთ სახელმწიფოს სადაფე და გააკეთეთ ის, რაც ჩვენ ვერ გავაკეთეთ, რაც დავაკელით ან რაც გამოგვრჩა. ჯერ კიდევ შორსა ვართ იმისაგან, რაც უნდა იყოს, ჯერ არ განსორციელებულა ჩვენი პოლიტიკური გეგმა; დამფუძნებელი კრება სწორეთ ამ გეგმის განსახორციელებლათაა მოწოდებული და ის არ დაიშლება მის განსახორციელებამდის.

პარლამენტის მთავრობა მიდის და ადგილს უთმობს დამფუძნებელ კრების მთავრობას.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

15 მარტი

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. მარტის 14. **ბერლინი.** მარტის 13. სპარტაკელების უკანასკნელ გამოსვლამდე ბერლინში რამოდენიმე დღის განმავლობაში ისეთი ბრძოლები იყო, რომელსაც თავის სიძლიერით ვერ შეედრება ვერც ერთი სამოქალაქო ომი. გაფიცვა გამოაცხადეს მუშებმა კონტრგაფიცვა ბურჟუაზიამ. რკინის გზებზე მიმოსვლის შეწყვეტის გამო ქალაქში შიმშილი მოელის. დიდი გაფიცვებია რურის რაიონში. გაზ. „ფორტუ“ მოწინავე წერილში სწერს, რომ მთავრობას ავტორიტეტი და ძალა-უფლება არა აქვს. ის აბრუნებს მხოლოდ დამფუძნებელი კრების უმრავლესობის სურვილებს. ვილნო. მარტის 13. დამოუკიდებელ სოც.-დემ. ყრილობის გახსნაზე ბერლინში პუდიელმა სთქვა, რომ მთელი გერმანია რევოლიუციის ქარცეცხლმა მოიცვა. დამფუძნებელ კრებას იმედი აქვს, რომ ნოსკე ჩაჰაქრობს რევოლიუციას. ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ლიუქსემბურგის, ლიბკნეხტის და ეისნერის ხსოვნას. ჰაზემ აღნიშნა, რომ შეიდემანელთა ბელადების და მასსას შორის უფსკრული თანდათან ღრმავდება და საგრძნობათ იზრდება დამოუკიდებელთა პარტია, რომელიც დაიცავს საბჭოთა სისტემას. კლარა ცეტკინამ სთქვა, რომ ებერტის („ებერტ პირველის“) მთავრობამ უფრო მეტი სისხლი დადვარა, ვიდრე ვილჰელმ მეორის მთავრობამ. ეენეკა, მარტის 7. საფრანგეთის მთავრობამ ინსტრუქციები დუგზავნა გერმანიაში დაჭერილ ადგილებში მდგარ ჯარის კომენდანტებს გაიყვანონ საფრანგეთის ჯარი იმ ადგილებიდან, სადაც ძლიერია მუშათა მოძრაობა. ყოველგვარი დამოკიდებულება საფრანგეთის სარდლობისა სპარტაკელებთან აკრძალულია. ასეთივე ინსტრუქციები დაეგზავნა ინგლისის სარდლობას. მოსკოვი. მარტის 14. სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა მიიღო რომიდან კარდინალ გასპარ ილსენის პაპა ბენედიქტ მე-15-ის დეპეშა, სადაც უკანასკნელი უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა რესპუბლიკა სდევნის სამღვდელოებას, განსაკუთრებით მართლმადიდებელთ. საგარეო საქმეთა კომისარმა კარდინალ გასპარს გაუგზავნა საპასუხო რადიო, სადაც აუწყებს, რომ ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოდან ნიშნავს მას, რომ რელიგიას უყურებენ, როგორც კერძო რამეს. არავინ არ დასჯილა თავის რწმენისათვის, რაც შეეხება ეკლესიის იმ წევრთ, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის, მუშების და გლეხების წინააღმდეგ შეთქმულობისთვის დაისაჯენ, საბჭოთა მთავრობამ უნდა აღნიშნოს, რომ სამღვდელოება უნდა დაემორჩილოს არსებულ კანონებს და მათ არავითარი უპირატესობა სხვებთან არ მიეცემათ. ჩიჩერინი შემდეგ იუწყება, რომ ეკლესიის მსახურთ უნახავს დიდი სიმდიდრე, განსაკუთრებით მონასტრების, რომ ამ საერთო გაჭირვების დროს, რომელიც გამოიწვია მოკავშირეების ზომებმა და რომლის წინააღმდეგ პაპა პროტესტს არ აცხადებს, ეკლესიის მსახურებმა გადამალეს დიდძალი სურსათი, რომელიც მოაკლდა ხალხს. პაპა მოითხოვს შეცვალოთ ჩვენი მათდამი განწყობილება იმ მომენტში, როცა მუშათა და გლეხთა მთავრობამ გამოააშკარავა სამღვდელოების ცუდდაუტრობა. ისინი ატყუებდნენ ხალხს. როცა გაიხსნა ის კუბოები, სადაც წმინდანების—ტიხონ-დადონელის და ვორონეჟელ მიტროფანის ვითომდა ულხრწნელი გვამები უნდა ყოფილიყო, აღმოჩნდა, რომ კუბოებში ჩაეყარათ ძვლები, ქაღალდები, ბამბა, ბალიშები და ქალის ჩულქებიც. **ხარკოვი.** მარტის 12. ხერსონი ატამან გრიგორიევის ჯარმა დაიპყრა. მოწინააღმდეგე დაბარაჟდა. იმ სახლებს, სადაც ფრანგის და ბერძნების ჯარი გამაგრდა, ჩვენმა ჯარმა სროლა აუტეხა, ცეცხლი გაუჩინა და გადასწვა. **პეტერბურგი.** მარტის 13. რუსეთის რევოლიუციის ორი წლის თავის აღსანიშნავათ მრავალი მიტინგები გაიმართა. სახალხო განათლების კომისარიატმა ეროვნულ საკუთრებათ გამოაცხადა კომპოზიტორ რიმსკი კორსაკოვის არქივი. საბჭოს აღმასრულ. კომიტეთმაზე „რუსეთის დიდი რევოლიუცია“ მხატვართა შორის კონკურსი დანიშნა. კონკურსი დაინიშნა ავრეთვე მოღვაწეთა საუკეთესო სურათებზე. საუკეთესო ნაწარმოებზე ხუთი სიჩუქარია დანიშნული, თითეულზე 15000 მანეთი. **ეკატერინოდარი.** მარტი 5. ყუბანში ფულის კრიზისია. ფულის ნაკლებობა დონისაც ეზნევა. დონის მთავრობა საკუთარ ფულის ნიშნებს უშვებს. ყუბანის მთავრობა კი იძულებულია ლაესესხოს დონის მთავრობას. ოდესა. მარტის 8. სადგურის ახლო მუშებსა და მოხალისეებს შორის შეტაკება მოხდა. მკვდარია 15 მუშა. დახოცილი მუშები დასაფლავეს მარსელიოზის სიმღერით და წითელი დროშით. მოხალისეები შეეცადნენ მათ დაშლას, მაგრამ უნაყოფოთ. **ტერეკი.** მარტი 8. ვინიცა ბელადების ბრძოლა ორიენტირებულია. მოელენ ადგილობრივ ბოლშევიკების გამოსვლა. შეებმა პეტლიურას ჯარს ორიოქმავალების დათმობაზე სახალხო კონგრესის გადასატანათ უარი განუცხადეს. **კიევი.** მარტი 13. 500 ვაგონი დატვირთული სამხედრო მასალით და სურსათით, რომელიც კარატინში იგზავნებოდა, ბარანიჩეგში დააკავეს. **კიევი.** მარტის 13. თეთრ გვარდიელების ბრძოლა დამარცხებულია. გაანთავისუფლეს ეტომირ-ვინიცას ხაზი. ადესიდან იუწყებიან, რომ საბჭოთა ჯარის მოახლოვების გამო ბურჟუაზია პანიკამ მიიცვა. დირექტორიასა და მოკავშირეთა შორის მოლაპარაკება საბოლოოთ შესწყდა. გაზეთები იუწყებიან ადესიდან საფრანგეთის ჯარის წასვლის შესახებ. ყოველ დღე გადის სამხედრო გემი ფრანგ ჯარისკაცებით დატვირთული. სიძვირის და სურსათის უქონლობის გამო ადესის მცხოვრებთა მდგომარეობა აუტანელია.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

კიევიდან იუწყებიან, რომ ავღანისტანის ემირზე თავდასხმა მოახდინეს და მოჰკლეს. მიზეზი მკვლელობისა გამოურკვეველია. დაპატიმრეს ორი.

ბრიუსელში სოლვეის ინსტიტუტმა საზავო კონფერენციას მემორანდუმი გაუგზავნა, სადაც წინადადებას იძლევიან საერთაშორისო დამხმარე ენად აღიარონ ფრანგული ენა.

საფრანგეთის განადგურებულ ადგილებში რკინის გზას მაღე აღადგენენ. ფიქრობენ, რომ მოკლე ხანში პარიზსა და ბრიუსელ შუა აღდგენილ იქნება მიმოსვლა.

საუბრის დროს ლლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ გერმანიის ბლოკადა მხოლოდ საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ მოიხსნება, რომელსაც გერმანიას საშუალება არ ექნება განაახლოს ომი.

ნიუ იორკში თეატრ „სენტიურში“ სომხების, ბერძნების და ებრაელების მრავალრიცხოვანმა კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც პრეზიდენტ ვილსონს გაეგზავნა საზავო კონფერენციაზე განსახილველათ. რეზოლიუციებმა ოსმალეთის სამეფოში ამ ერების თვის უფლებების მინიჭების, ითხოვენ სომხეთის რესპუბლიკის და პალესტინაში ებრაელთა თემის დაარსების დიდ ბრიტანეთის მფარველობის ქვეშ.

რამდენათაც ვიცით, სამხ პირობები, რომელსაც მარშალი ფოში წარუდგენს მოწინააღმდეგეს, მოითხოვს, რომ გერმანიამ იყოლიოს იმდენი ჯარი, რამდენიც მას დასჭირდება საპოლიციო მიზნებისთვის და გერმანიას გარანტია ჩამოერთმევა, რომ მომავალში იგი ადარ შეიარაღდება.

ინგლისის წარმომადგენლები სავსებით შეთანხმდენ საბჭოთ ხელავიანებთან დუნაიზე ნავოსნობის შესახებ.

იაპონიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ მარკიზმა საიონმ გაზეთ „პტი პარიზიენ“-ის წარმომადგენელს განუცხადა, რომ იაპონიას განზრახვა აქვს ცინ-ტაოო ჩინეთს დაუბრუნოს და სამაგიეროთ მიიღოს რამოდენიმე კონცესია ამ ქალაქში.

მცირე აზიის და დარდანელის ბლოკადის მოხსნამ სრული კმაყოფილება გამოიწვია სტამბოლში. ამ ეამად ზომებს ღებულობენ შეთანხმების სახელმწიფოებთან საგანგებო ურთიერთობის აღსანგენათ.

გუშინ წარმოთქმულ სიტყვაში ლოიდ ჯორჯმა მცირე ერების გასაფრთხილებლად სთქვა: მცირე ერებისთვის პირდაპირ საფრთხეს წარმოუდგენს დიდ სახელმწიფოთა ჩადენა. ეჩვენება, რომ მცირე ერები ცდილობენ შემოიერთონ ისეთი ტერიტორია, რომელიც მათ არ ეკუთვნით. ეს ყველაზე დამლუპველი შეცდომაა.

პოლონეთის მთავარ ბანაკის შტაბმა ვარშავაში გამოაქვეყნა ცნობა ბალშევიკებზე დიდი გამარჯვების შესახებ. პოლონელებს დაუჭერიათ რკინის გზის სადგურები ბიტენი და კოსოვო, სადაც დიდ ძალი ამუნიცია იყოფის ხელთ. ბალშევიკები საბოლოოდ დამარცხეს ნემანის ხიდის ახლო. ბიკუშოვთან კი პოლონელთა და უკრაინელთა მცირე რაზმი მოუსოდნელად თავს დაეცა ბალშევიკების ბანაკს და რამდენიმე ტყვეის მფარველი იყო ხელთ.

მის რიგში შნედერი და (გაუგებარია) მის მრი ანდერსონი ვილსონმა ამერიკის მუშა ქალთა წარმომადგენლად დანიშნა საზავო კონფერენციაზე. პარიზში ჩასვლამდე ისინი ინგლისში მივლენ მუშა ქალთა ორგანიზაციასთან სათათბიროთ.

ფრანკფურტის გაზეთი აცხადებს, რომ გერმანიას სურს იარაღის ყარა იმდენათ, რამდენათ ეს შესაძლებელია. თუ მოკავშირეებმა მოინდომეს მარტო გერმანიას ყარონ იარაღი, მაშინ ისინი იძულებული იქნებიან დიდი ხნით იკისრონ გერმანიის იარაღით მართველობა და ეს კი არ იქნება ადვილი საქმე შინაურ

პოლიტიკურ მდგომარეობისა, სურსათის სიმცირისა და რუსეთის ბოლშევიზმის მეზობლობის გამო.

ამერიკის მთავრობას არ შეუძლია ჩაიბაროს გერმანიის 100000 ტონი გემი, რომელიც ჩილის ზღვებში იმყოფება და ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაკუთვნა საზღვაო კომისიამ. გირლიე ამბობს, რომ მათი ხმარება საზღვაო ხელშეკრულების ხელის მოწერამდე ვერ დაფარავს მათ შესაკეთებლად საჭირო ხარჯებს.

გენერალი ფონ ლოტოფი, რომელიც ალმოსავლეთ აფრიკაში გერმანიის ჯარს სარდლობდა, ჯარის ნაწილით და 200 მოქალაქეთი, რომელთა შორის უმეტესი ნაწილი ქალები და ბავშვებია, როტერდამში მოვიდა, მან განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა ყურადღებით და კარგათ მოეპყრო მას და მის ჯარს.

მისია, რომელსაც დიდი დანიშნულება აქვს და რომელიც შესდგება ბრიტანეთის სამრეწველო დელეგატებისაგან. 5 მარტს პარიზში გაემგზავრა. მისიაში შედის შემდეგი სამრეწველოების წარმომადგენლები: ელექტრონის და სამეტალურგიო მუშები, რკინის გზის მოსამსახურეები, ქიმიურ წარმოების მუშები, ნახშირის და ქვანახშირის წარმოების და გემის მუშები, ისინი ფრანგ ჯარისკაცებთან ერთად შეისწავლიან საფრანგეთის სამრეწველოების მდგომარეობას, გამოარკვევენ მის მატერიალურ ხარჯს და რის აღდგენა შესაძლებელი იქნება, ადადგენენ.

ახალი ამბები

ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, შესდგა ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი, რომელიც დახმარებას აღმოუჩენს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ლტოლვილებს განურჩევლად ეროვნებისა და ქვეშევრდომობისა. გუშინ ხსენებულ კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ჩიკვაიძემ ამერიკის კომიტეტის თავმჯდომარე კაპ. არიოლე ინახულა; აუწყა ხსენებული კომიტეტის დაარსება და სთხოვა რჩევით დახმარება. არიოლემ დახმარება აღუთქვა მას და უთხრა, რომ ამ კომიტეტის პირველ სხდომას ის თითონ დაესწრება, ხოლო დანარჩენ სხდომაზე ყოველთვის გაგზავნის თავის წარმომადგენელს.

გაფიცვა ბაქოში. გაზეთი „ბერიჟანი“ იტყობინება, რომ ბაქოში მუშათა კონფერენციამ დაადგინა გამოაცხადოს უვადო პოლიტიკური გაფიცვა ლოზუნგით „გამარჯვებამდე“. დასაწყისი და დამოლოვება გაფიცვისა მუშავდება გაფიცვის კომიტეტის მიერ, რომელიც კონფერენციამ ახლად აირჩია. გაფიცვას მხარი დაუჭირეს ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა, გარდა „მუსავატისა.“

ამერიკის ხიხა 14 მარტს თფილისში ჩამოვიდა. მისიაში შედიან საგარეო სამინისტროს წარმომადგენელი ბ. მოორი, ჰორუჩიკი კონლეი ამორონ, ბორუჩიკი კახადორიანი და პრაპორშჩიკი კინ.

ყრილობა ქალაქთა კავშირის წარმომადგენლებისა გაიხსნა კვირას, 16 მარტს, დილის 12 საათზე, თფილისის თვითმართველობის შენობაში.

ივ. გომართელი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ სალიტერატურო გასამართლებაში—„დამნაშავეა სომხეთი თუ არა საქართველოსთან ომში“, ის მონაწილეობას არ მიიღებს.

შემოკმედის მონასტერის გაძარცვა. ბუინდიდის მიტროპოლიტი ამბროსი ატყობინებს სრულიად საქართველოს კათალიკოზს, რომ მარტის პირველ რიცხვებში გაძარცვეს შემოკმედის მონასტერი. წაიღეს ძვირფასი საეკლესიო ნივთები, მათ შორის მიტრა ძვირფასი ქვებით, რომელიც რამოდენიმე მილიონი მანეთი ღირდა. დამნაშავენი დაიჭერეს, მაგრამ ვერაფერი უპოვეს. მათი სიტყვით ნივთები ბოროტ მომქმედებს თათრებისათვის შეუყიდიათ.

პროფესიონალური კავშირის „ნიმსის პროლეტარების“ გამგეობა სთხოვს კავშირის ყველა წევრებს: ევროპიულ და აზიურ მკერავებს, „მოდისტკებს“, მექუდეებს, „ულიტოჩნიცებს“ და სხვ., რომელნიც ამჟამათ უმუშევრათ იმყოფებიან დარომელთაც ხურთ სამუშაოს მიღება, იმ შემთხვევაში, თუ კავშირის ცდით გაიღება რაიმე სახელსნოები, დაუყონებლივ მობრძანდნენ კავშირში (ელისაბედის ქუჩა, 14, სასტუმრო „ბოსფორის“ ყოფილი სადგომი, ოთახი № 1, ღია ყოველ დღე საღამოს 6—8 ნახ. საათამდე) და ჩაიწერონ უმუშევართა სიაში. ჩაწერა გაგრძელდება 23 მარტამდე. ამის გარდა გამგეობა სთხოვს ყველა ამხანაგებს, რომელთაც მოეპოვებათ საკუთარი სამუშაო, იარაღი, როგორც: საკერავი მაშინები, უთოები, „შოლვანკები“ და სხ. დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ კავშირს.

თავდასხმა. 14 მარტს, დილით 11 საათზე ქალაქიდან დაბრუნებულ ოვჭალელ მეურმე გლეხებს პეტრე კილაძეს, ვ. ლომიაშვილს და ორს სხვებს ლრმაღელის ახლოს თავს დაესხნენ ოთხი შეიარაღებული მძარცველები, რომლებმაც პირველს წაართვეს 6000 მანეთი, მეორეს 1000 მანეთი და გაიქცნენ ქალაქისაკენ. გლეხები უკან შეუმჩნევლათ გაჰყვნენ. დიდუბის ეკლესიის ახლოს გლეხებმა ყვირილი ატეხეს, ყვირილზე გაჩნდნენ მილიციონერები მე-12 კომისარიატისა და დამცველებს უკან დაედევნენ, რომლებმაც ერთი მოჰკლეს და ერთი დაიჭირეს ორმა კი თავს უშველა. მოკლული აღმოჩნდა ალექსი კაკაურიძე, დაჭერილი ილია ნიკ. დუდუჩავა.

ბეჭდვითი საქმის პროფ. კავშირიან გამგეობა აუწყებს წევრებს კავშირისას, რომ კვირას, 16 მარტს, დილის 10 საათზე სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (მიხეილის პროსპ., № 91) დანიშნულია გაგრძელება წლიური საზოგადო კრებისა.

იურიდიულ საზოგადოებაში. საქართველოს იურიდიულ საზოგადოების საბჭომ თავის მორიგ სხდომაზე განიხილა საკითხი შესახებ იმისა, თუ რა საშუალებას მიმართოს, რომ სათანადო ნიადაგზე დააყენოს ამ საზოგადოების პერიოდულ გამოცემების საქმე და დაადგინა: ეთხოვოს იუსტიციის მინისტრს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა ყველა ის თანხა, რომელიც უკვე სამინისტროს განკარგულებაშია ან მომავალში იქნება მის განკარგულებაში სპეციალური მიზნით სამინისტროს გამოცემებისთვის, გადაეცეს იურიდიულ საზოგადოებას იმ პირობით, რომ ეს თანხა იქნება სამინისტროს კანტროლის ქვეშ და ამ თანხით გამოიცემა, როგორც იურიდიულ საზოგადოების, ისე სამინისტროს ყოველგვარი წიგნები, ჟურნალები და სხვა. თანახმად ამ თავის დადგენილებისა იურიდიულ საზოგადოების საბჭო მთელი თავის შემადგენლობით წარუდგა იუსტიციის მინისტრს, რომელიც შეპირდა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე. შესაფერისი მოხსენება სამინისტროს უკვე დაუმზადებია და ამ მოკლე ხანში მთავრობას წარედგინება.

გრიშაშვილის ხალამი. ორშაბათს, 24 მარტს, სახელმწიფო თეატრში გაიმართება გრიშაშვილის საღამო. პირველ განყოფილებაში ივ. გომართელი წარმოსთქვამს სიტყვას: „საქართველო და მშვენიერება“. მეორე განყოფილებაში ვასო აბაშიძის და ილ. ელეფანტაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: ა. ცაგარელის უკვდავი კომედია: „რაც გინახავს, ეველარ ნახავ“. (1-ლი მოქ.), რომელშიაც სოფლის ქორწილი და ყარაჩოელთა ქეიფი დახასიათებული. პიესას სტილიურად დასდგამს ალ. წულუკიძე. მესამე განყოფილებად იქნება: პოეტების ოჯახი, მონაწილეობენ: სომეხთა ცნობილი პოეტი ოვ. თუმანიანი, გალ. ტაბიძე, ს. აბაშელი, კ. მაყაშვილი, ვ. რუხაძე, მარიჯან, თაგუნა, გრიშაშვილი და სხვ. მეოთხე განყოფილებაში გაიმართება ორიგინალური კონცერტი: აშუღთა დასტა, ჰაზირახ მეთაურობით შეასრულებს საათნოვას, გ. ორბელიანის და აკაკის მუსიკებზე. დები თარხნიშვილების თავდახურულ ბანოვანთა ხორო შეასრულებს ხალხურ სიმღერებს, ხალხი სახელმწიფო თეატრის მსახიობნი სამანეევა, გრანელი, შულგინა, აღასოვისა, სარაჯიშვილი და ინაშვილი შეასრულებენ არიებს და დუეტებს ქართულ ოპერებიდან: „შოთა“ „აბესალომ“ და „თამარ-ცბიერი“.

წარმოდგენა. ოდეს, 16 მარტს შუასკოლმანთა აუდიტორიაში გაიმართება პატარა სადამო-წარმოდგენა: 1) დრამა 2) კომედია; 3) სიმღერები. დასაწყისი სრულ 7 საათზე.

ლექცია. 16 მარტს, საღამოს 5 საათზე კუკიის წმ. ნინოს უბნის სამრეველო სასწავლებლის შენობაში ექიმი ნ. ტურიაშვილი წაიკითხავს ლექციას „ბრძოლა შავ სახალთან“ (წინწკლებიანი ტიფი).

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

16 მარტს, კვირას, საღამოს 5 საათზე მე-9 უბნის სასურსათო კომიტეტის ბინაზე (რეუტოვის ქ. № 31) დანიშნულია საქართველოს სოც. დემ. პარტიის წევრთა კრება. ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს ვინც კი მეცხრე საკომისარიატში სცხოვრობს გარდა რკინის გზის გადადმისა აუცილებლათ დაესწრნენ კრებას. დღის წესრიგი: კუკიის მცირე კოლექტივის დაარსება და მიმდინარე კითხვები.

— ოდეს, კვირას, 16 მარტს, დღის 12 საათზე, წ.-ქ. გ. საზოგადოების ბინაზე (სასახლის ქ., № 5) დანიშნულია ქართველ ბუნებისმეტყველთა კრება.

— ოდეს, კვირას, 16 მარტს, დილის 10 საათზე, წ. ქ. გ. საზ. ბინაზე დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა მთავარი გამგეობის მორიგი სხდომა.

— ოდეს, დილის 10 საათზე, ერთიანის რედაქციაში შესდგება გურიის დამხმარე კომიტეტის წევრთა კრება.

— ოდეს, საღამოს 5 ნახ. საათზე, შესდგება კავკასიის კბილის ექიმთა ერთ-ერთი დამხმარე საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. კრების ადგილი: კბილის ექიმის ე. ჭინაძის ბინა, მიხეილის ქ. 78.

— კვირა, 16 მარტს, დღის 4 ნახ. საათზე, დანიშნულია საშუალო კულტურულ-ტექნიკური სასწავლებლის მარქსისტ მოწაფეთა კრება.

— ოდეს, 16 მარტს, დანიშნულია ამიერკავკასიის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა კრება. კრების საგანია უნივერსიტეტის თფილისიდან გადატანის საკითხი.

ᲙᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ ᲫᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ᲮᲣᲜᲐᲠᲘ. სემა სვიმონის ძე ბაბუიძემ და არუაკ მიხეილის ძე ალავერდოვმა, სვირის სკოლას შესწირეს პირველმა ათასი მანეთი, მეორემ სამასი მანეთი.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ვაჟთა და ქალთა გიმნაზიის დირექტორი აცხადებს, რომ ტიფის გამო შეწყვეტილი მეცადინეობა განახლდება 24 მარტს და არა 14 მარტს, როგორც ეს წინეთ იყო გამოცხადებული.

ᲡᲐᲛᲔᲜᲐᲙᲘᲡ სამაზრო ერობის გამგეობა აცხადებს, რომ 5 აპრილისთვის მოწვეულია სამაზრო ერობის ხმოსანთა მორიგი ყრილობა. ყრილობა გაიხსნება გამგეობის კანცელარიის შენობაში (გიმნაზიის ქუჩა, სახლი გ. გამზარდიანი), დილის 11 საათზე. განსახილველი საკითხები: 1) გამგეობის მოხსენებანი, 2) მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა და 3) მიმდინარე საკითხები.

მთავრობაში

6 მარტის სხდომაზე მთავრობამ დადგინა:

— თანდათანობითი სურსათის დამზადების მიხედვით, მიეცეს სომხეთის რესპუბლიკას თხოვნილი რაოდენობა (200,000 ფ.) სურსათისა, მაგიერი პურეული სურსათის ჩაბარების გარანტიით.

— წინადადება მიეცეს ფინანსთა მინისტრს დაუბრუნოს ს. ს. არუთინოვს კონფისკაცია მოხდენილი ფული, რომელიც ინახებოდა სეიფში № 855 ს

ლად და სინდისიერათ ემსახურებოდა სახალხო საქმეს.

გვარდიის დაარსების დღიდანვე პეტრე სათავეში ჩაუდგა ხაშმის გვარდიას და სადაც კი ამ გვარდიას უხდებოდა ბრძოლა სამშობლოს და რევოლიუციის მტრების წინააღმდეგ პეტრეც იქ იყო და თავის სისხლით იცავდა სამშობლოს შემოსეულ მტერთაგან. პეტრე წვრილშვილი იყო. შუა ხნის, ასე 50 წლის, მას როდესაც კი ჩვენი ქვეყანა მოითხოვდა სამსახურს, იგი ყოველთვის ივიწყებდა: ოჯახს, შინაურ საქმეებს და ფრონტს მიაშურებდა ხოლმე. და აკი დაეღო კიდეც მსხვერპლათ სამშობლოს და მის თავისუფლებას! ამხანაგი პეტრე ლაღიძის გვამი ფრონტიდან მოასვენეს სადგურ იორზე 9 მარტს, რომელიც შესაფერი პატივისცემით ამოასვენეს სოფ. ხაშმში და 10 მარტს დიდის ამბით დასაფლავეს კიდეც.

დაკრძალვას დაესწრენ მეზობელ სოფლის პატარძეულის და საგარეჯოს გვარდიელებიც. საფლავზე სიტყვები წარმოსთქვეს დ. ნახუცრიშვილმა, იოსებ იმედაშვილმა და ვანო მაიურაძემ. უკანასკნელმა თავის მგრძნობიერ სიტყვაში აღნიშნა ის დაუფასებელი ღვაწლი, რომელიც პეტრემ დაიმსახურა სამშობლოს წინაშე და აღნიშნა ხაშმის გვარდიის მოღვაწეობა, რომლის სულის ჩამდგმელიც ამხანაგი პეტრე იყო. X.

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘᲐᲒᲐᲜᲘ

ჩვენი ქვეყანა რომ დღეს ყოველ მხრივ დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდის, ეს მგონი ყველასათვის ცხადია, ბაზარზე საქონლის თითქმის სრულიად გაქრობა, ანდა საშინელი საზღაპრო ფასები, გარედან არაფრის შემოტანა, შინ არავითარი წარმოება, ამასთანავე ფულის კურსის უმაგალითო დაცემა და სხვა ასეთები,—ეი მოკლეთ საქმის ნამდვილი მდგომარეობა. ასეთ დროს, ჩემის აზრით, ერთად ერთი საშუალება და ხსნა უნდა იყოს ისევ ის მცირედი სიმდიდრე, ის ნედლი მასალა, რაც ჩვენს სახელმწიფოში მოიპოვება, რადგან, ვხედავთ, ფულზე დღეს ბევრს არაფერს იძლევიან მაინცა და მაინც.

მე ამ-ერამათ მინდა მივაქცინო იმათი ყურადღება, ვისაც ჯერ არს, მხოლოთ ერთ საგანზე, სახელდობრ, იმ მთელი ორი წლის მოსავალ თამბაქოზე, რომელიც დღეს უძრავი ბლომათ ძევს ჩვენს ქვეყანაში, ეს ისეთი ნედლი საქონელია, რასაც საზოგადოთ დიდი გასავალი აქვს ყველგან. და დღეს თუ არა ხვალ მაინც შესაძლებელი იქნება მისი გადაცვლა თითქმის ყველა ჩვენთვის აუცილებელ საქონელზე. თამბაქოს მწარმოებლები დიდი ხანია ცდილობენ ამ საქონლის თავიდან მოშორებას, რადგან, სხვა არა იყოს, „ადგილიც ადარ აქვთ მის შესანახათ. თან მარშანდელი უსიმინდობის გამო ჯიბე დაცალიერებული ხალხი ფულსაც ძლიერ საჭიროებს. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას გურიაზე, სადაც სიმინდის ფასი წელსაც არანაკლებია და ბევრსაც საყიდელი აქვს:

ამ-ერ კავკასიის მეთამბაქოთა კავშირის ბიუროს საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობათა გამო ამ-ბიდის ვერა გაიწყო გარეშე კაპიტალისტებთან მოლაპარაკებით. ხალხი კი დაყოვნებას არ ითმენს და დაჟინებით მოითხოვს თამბაქოს გაყიდვის საქმის დაჩქარებას. ამით, რა თქმა უნდა, ისარგებლეს ადგილობრივნი ვაჭრებმა და უნდოთ ეხლა ჩალის ფასათ ჩაიგდონ ხელში ხალხის ამოდენა სიმდიდრე და ნაოფლარი.

სად არიან ამ დროს ჩვენი სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციები, ეროებები და მათი ცენტრალური ბიურო, ამ-ერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი და სხვა ასეთები, რომლებიც უსაქონლობითა და უსახსრობით თითქმის სულს ღაფავენ?

ნუ თუ დიდი დანაშაულობა არ იქნება ქვეყნისა და ხალხის წინაშე ასეთი დიდი კაზრის ასეთ დროს ხელიდან გაშვება და ვიდაც კერძო პირის ხელში ჩატოვება, რომელიც ხვალვე ამავე საქონლის საშუალებით ჩვენვე ბურგზე ტყავს აგვაძრობს და თითონ კი მილიონებით აივსებს ჯიბეებს?!

შეიძლება ჯერ კიდევ არ იყოს გვიანი. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

რ. რამიშვილი.

ᲛᲣᲨᲐᲝᲒᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

მას შემდეგ, რაც რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ფართო თავისუფლება მოუპოვა მუშათა კლასს და საერთოდ დემოკრატიას, ჩვენი მუშაობა სოფლად გამოიხატებოდა გლეხთა საბჭოების, კომიტეტების და სხვადასხვა ორგანოების საბით, რომლებსაც უფრო საგიტაციო ხასიათი ჰქონდა. დადებითი მუშაობა იშვიათად გვაწარმოებია, და თუ ესლა მაინც არ მივეშველეთ სოფელს და წმინდა დადებითი მუშაობა არ ვაწარმოეთ, ამის დიდი ზარალი და ხიფათი მოჰყვება. დიდმა რევოლიუციამ დიდი ნგრევა მოახდინა იმ ძველი სახელმწიფო აპარატისა, რომელსაც აწარმოებდა ძველი რეჟიმი სამასი წლის განმავლობაში და თუმცა ეს აპარატი დაინგრა, მაგრამ სამაგიეროთ უნდა აშენდეს ახალი, ახალ ცხოვრებასთან შეფარდებული, სახალხო, მაგრამ რიგიული, ჯერ კიდევ დემოკრატიისთვის უცნობი და შეუთვისებელი. ამ მხრით სოფლის ხალხი ბურუსშია გახვეული და ვერ გარკვეულა იმაში, როგორიც არის მაგ.: სახელმწიფოს აღმშენებლობა, ჯარი და თავდაცვის საკითხი, შიწის რეფორმების კანონები და მისი ცხოვრებაში გატარება, ახალი სასამართლო, ადმინისტრაციის მოწყობა, სამაზრო ერობა და წვრილი ერთეულების მოწყობა, გადასახადების სისტემა, ტყის საქმის მოწესრიგება, სწავლა-განათლების ხელის შეწყობა და მრავალი სხვა-დასხვა კითხვები. ყველა ამ კითხვებით მისი გონება ძრიელ დატვირთულია და შეელას თხოულობს. ამისათვის აუცილებელი საჭიროა სოფელს დღეს მეტი ყურადღება მიექცეს. უნდა მოეწყოს ადგილობრივათ ყველა დიდ სოფლებში და რაიონებში ორგანიზაციები, ადგილობრივათ უნდა შეიქმნას და მომხადდეს ამ ორგანიზაციების ბატონ პატრონი, ისინი უნდა შევაჭვიოთ საქმის კეთების და ამშენებლობის მუშაობას. უნდა აუხსნათ ყველა ზემო დასახელებული კითხვები, მათვე მეტი მონაწილეობა მივაღებინოთ თავიანთი საქმის მოწყობა-მოწესრიგებაში. აგრეთვე უნდა მოიწყოს ყველა რაიონში, კვირა უქმე დღეებში, ლექციების კითხვა და სხვა კულტურული მუშაობა. საჭიროა ამ მხრით ყველა სოფელში მომუშავე ამხანაგებმა ზემო დასახელებულ ორგანიზაციულ მუშაობას უმთავრესი ყურადღება მიაქციონ და მკვიდრ ნიადაგზე დააყენონ. რამდენათ მალე შეუდგებით ამ საქმეს, იმდენათ უფრო მალე შევძლებთ ჩვენი რესპუბლიკის განმტკიცებას.

მიხ. ორმოცაძე.

ს.-დემ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

თფილისი. 8 მარტს შესდგა საქართველოს ს. დ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის კრება. განსახილველი იყო კითხვები: მოხსენება თფილისის კომიტეტიდან რევოლიუციის წლის თავის შესახებ, საწევრო გადასახადის თავის დროზე შემოტანა, საზოგადო კრების მოწვევა. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა გასული კრების ოქმი. კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. თ. ხ.. ის აცნობს კრებას, 16 თებერვალს სახელმწიფო უნივერსიტეტში—საარჩევნო ყუთთან ჩვენი პარტიის წარმომადგენელი ასათიანის ქალის, მისი მოვალეობის აღრულების დრის ვერაგულ მკვლელობის შესახებ დასმულ საკითხზე გამოტანილ რეზოლიუციას. კოლექტივი სავსებით უერთდება კომიტეტის მიერ გამოტანილ რეზოლუციას. კრებამ დადგინა 12 მარტს შეეკრიბონ ყველა ჩვენს ამხანაგებს მიაღებინონ მხურვალე მონაწილეობა რევოლიუციის ორი წლის თავის დღესასწაულში. საწევრო გადასახადის შესახებ კრება ერთხელ კიდევ წინადადებას აძლევს და მოაგონებს იმ ჩვენს ამხანაგებს, რომლებსაც ჯერაც არ შემოუტანიათ გადასახადი, შეეკრიბონ თავის დროზე შემოიტანონ და ნუ დაარღვევენ წესდების მესამე მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ პარტიის წევრი, რომელიც სამი თვის განმავლობაში საწევრო გადასახადს არ შეიტანს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გამოწვეულია საპატიო მიზეზებით, პარტიიდან გამორიცხულათ ითვლება.

საზოგადო კრების მოწვევის შესახებ საკითხი გადადებულ იქნა შემდეგი კრებისათვის.

თედ. ხუხუნაიშვილი.

ᲒᲝᲠᲘ. 6 მარტს, მოხდა გორის კომიტეტის ს. ს. დ. მ. პ. კრება, დაესწრენ კომიტეტის ყველა წევრნი და მოწვეული ამხანაგები. თავმჯდომარეობს ამხ. ჯავახიშვილი. დღიურ წეს-რიგში სხვა წვრილ საკითხთა შორის, იყო დასმული კითხვა: პარტიული მუშაობა ქ. გორში. ამ საკითხის შესახებ მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. გოგუამ. აღნიშნა, რომ ამხანაგებს შეუნელებით პარტიული მუშაობა ქალაქ გორის ფარგლებში, განსაკუთრებით დამფაძნებელ კრების და ქალაქის არჩევნების შემდეგ. ამ საკითხის შესახებ კომიტეტის კრებამ დადგინა: ა) მიეცეს წინადადება ამხ. რაიონულ წარმომადგენლებს დაუყონებლივ შეუდგენ პარტიულ მუშაობას და მოახდინონ იმ წევრთა რეგისტრაცია, რომელნიც ჯერ მიღებულნი არიან პარტიაში. ბ) არჩეულ იქმნენ პასუხისმგებელი ამხანაგები სამივე რაიონებისთვის და ახალგაზრდა მარქსისტთა წრის იდეიურ სახელმძღვანელოთ. 8) იმართოდეს სისტემატიურათ პარტიის წევრთა მასიური კრებები, რომლებზედაც გამოვლენ მოხსენებებით და მიაწვდიან ამხანაგებს გონებრივ საზრდოს შემდეგი ამხანაგები: პირველ რაიონში: პ. ეფრემიძე და დ. მელიქაძე; მეორე რაიონში: მ. ახალაძე და ი. გაბუნია; მესამე რაიონში: ი. ქარცივაძე და ვ. თევზიევ; ახალგაზრდა მარქსისტთა წრეში: მ. კინწურაშვილი და ბ. ჯავახიშვილი.

გალიკო.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲘᲡ

ნატანები. ნატანების რაიონში რკინის გზის მახლობლად არის ხე ტყის მასალის სახერხი ქარხანა. ძველი რეჟიმის დროს აქ მუშები ბევრი იყო. დიდი ხე-ტყის მასალა და შეშა მუშავდებოდა; ტყეც სივრცით დიდი აკრავს. ოსმალეთის ჯარის მიერ ბათუმის აღების შემდეგ აქ ქარხანას არ უმუშავია. მიმდინარე წელს პირველ თებერვლიდან ქარხნის ამუშავების განახლება მოინდომა ნაკაშიძემ. მას რამდენი მუშაც სჭიროდა იმდენი მოიწვია სხვადასხვა სოფლებიდან წინ და წინ ხელფასში შეთანხმებით როგორც ტყეში მომუშავენი, ისე შიგ ქარხანაშიც მრეწველთა მაქმადგინლობა. ამათში ჯუჯათიდან მოწვეული მუშა იყო 16 კაცი, რომლებმაც ერთი კვირის მუშაობის შემდეგ მექარხნე ნაკაშიძეს მოთხოვნილება წარუდგინეს. მათ სხვებიც აჰყვენ ნაკაშიძე მათ ევაჭრა ხელფასის მიცემაზე და 32 მანეთი დღიურათ შეაძლია მაგრამ მუშები არ დასთანხმდენ. ხოლო დასთანხმდენ მომრიგებელ კომერის მოწვევაზე და მის დადგენილებით შეთანხმებაზე მანამდე ჯუმათლები მუშაობას მოეჭიანენ. დაი იქნა მომრიგებელი კომერა, ჩამოვიდა შორიის კავშირის წარმომადგენელი. შეუდგენ „ბაზეინსა“ ლ მუშებს შორის შრომის ფასის განხილვას. მომრიგებელმა კომერამ განხილა ადგილობრივ ცხოვრების სიძვირე სიიაფე და მისდა მიხედვით დაადგინა ხელფასი. კომერის დადგენილების შემდეგ მუშებმა იმუშავეს ოთხი დღე, მეხუთე დღეს ჯუმათლებმა მუშაობაზე ხელი აიღეს და სახლში წასვლის დროს სთქვეს: ნაკაშიძემ მოყვანა ყველა ისეთი პირები, რომ მისდა სასარგებლოთ გადასწყვიტეს, თან სამი თვის პირობაც მოგვთხოვეს. ასე ჩვენ არ გვინდა, თუ მოგვცემენ იმდენ ჯამაგირს, როგორც ფოთში იძლევიან, ჩამოვალთ, თუ არა და არაო.

ივაკი გიორგაძე.

ᲞᲠᲝᲢᲘᲜᲪᲘᲐ

თელავი. თელავის მაზრაში ძლიერ გახშირდა გადადები სენით ავადმყოფობა. ამის გამო მოხდა 10 მარტს ერობის გამგეობის სასწრაფო კრება. ავადმყოფობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ექიმი ხითაროვი, მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თელავის მაზრაში დღემდე ავათ გამხდარა სულ 118 კაცი, მსხვერპლი ცოტაა, გარდა იმ სოფლებისა, სადაც არ იყო მიღებული არავითარი ზომები, ასეთია შალაური და სხვა. საავადმყოფო არის გახსნილი საზადიანებისათვის თელავში, იყალთოშიც მალე გახსნება. გამგეობამ გადასწყვიტა გაიხსნას საავადმყოფოები შემდეგ სოფლებში, ყვარელში, ვაჩნაძიანში, ფინანდალში, კინდოლში. გამგეობამ ხითაროვი აღჭურვა სრულის უფლებებით, რომ მან ყოველივე ზომები მიიღოს ასეთი ჭირის წინააღმდეგ, აგრეთვე გამგეობამ გადასწყვიტა ეთხოვოს მთავრობას ამ ხარჯების გასაწევათ დახმარება ალმოგვიჩინოს და გაიღოს ხარჯების დასაფარავად ერთი მესამედი პროცენტი. ასეთი ზომების მიღება ერობისაგან მოსაწონია და საჭიროა მთავრობამაც ასეთ საქმიანობას მიაქციოს დიდი ყურადღება და ალმოუჩინოს საჭირო დახმარება.

22 მარტს სამაზრო ერობის პრეზიდიუმი იწვევს ერობის ხმოსანთა საერთო ყრილობას.

დღეს მთელი მაზრის საქმეები ერობის ხელშია და მისი მოვალეობაა ენერგიულათ მოეკიდოს ასეთ სიმპატიურ საქმეს, რომ ერობას მომავალში ნიადაგი არ დაეკარგოს ხალხის თვალში.

კალე.

ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘ. წელიწად ნახევარია რაც სოფ. ლეჩხუმში დაარსდა მომხმარებელი საზოგადოება „მომავალი“. წელიწად ნახევარია რაც ეს მომხმარებელი საზოგადოება არსებობს, განაგებს საქმეებს და რას ვხედავთ?.. სრულ აწეწილ დაწეწილობას და გაუგებრობას. გამგეობაში არჩეული სამი წევრისაგან რამოდენიმე ხანში ორმა წევრმა თავი მიანებეს მოვალეობებს. ერთი წევრის თანამდებობა იკისრა სრულიად გაუგებარმა კაცმა თ. ხათრიძემ, რომელმაც არ იცის ანგარიში და არც წერა და ამავე დროს ხაზინადრის ადგილი დიჭირა. ადარა ჰყავთ მდივანი და ყოველგვარი საქმე წიგნებში გაუტარებელი რჩება. საზოგადოების დადგენილების წინააღმდეგ საქონელი ნისიათ არის გაცემული 8000 მანეთის, იმ დროს, როდესაც საზოგადოებას 10,000 მანეთამდე ვალი აქვს და სარგებელს იხდის.—საქონელს არ ეიღება განსაზღვრული ფასი და გადანახული საქონელი ერთი ორად ისყიდება (ასე მოხდა მაგ.: გოგირდის შესახებ, რომელიც გადანახულ იქმნა 100 ფუთ. და 22 მანეთიანი—40 მან. გაიყიდა). ამისთანა ბევრი მაგალითია და ეს სულ იგივე თ. ხათრიძის მეობებით, რომელსაც კოოპერატივი ჰგონია თავის საკუთრება და იგი კერძო სავაჭროდ გარდაქმნია. საჭიროა ქუთაისის კავშირმა მიიქციოს ჯეროვანი ყურადღება და ძირიან-ფესვიანათ იქმნეს ამოფხვრილი ასეთი გაუგებრობა და საზოგადოების დაწესებულებას მიეცეს კოოპერატიული ხასიათი.

მახინჯი.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

(დაჭრილ-დახოცილნი)

ს. ელიაწმინდასთან ბრძოლის დროს დაიჭრენ და დაიხოცნენ შემდეგი სახალხო გვარდიელები: საგარეჯოდან 1) მიხეილ კიხტაშვილი მოკლულია, 2) ილო მელაშვილი დაჭრილია (მარცხენა ხელში, 3) ავიტიკ ნიკოლაოთოვი დაჭრილია მარცხენა ფეხში, 4) ნიკა არაქელოვი დაჭრილია მარჯვენა ხელში, 5) გიორგი კორძანაშვილი თვალი აქვს გაფეჩქილი, 6) ფუმეაშვილი დაჭრ. მარცხენა ხელში, 7) კოტიაშვილი ლევან დაჭრილია მარჯვენა მხარში. პატარძეულიდან 1) ნიკა სიმონაშვილი მოკლულია, 2) გიორგა უტიაშვილი დაჭრილია თვალში, 3) იოსებ ფაცხელაური დაჭ. მარჯვენა კოვში, 4) ჯიშელაძე მიხეილ დ ჭრ. მარცხენა ხელში, 5) იაგორა ცხვარიაშვილი მარჯვ. ხელში დაჭრილი, 6) მუჩიაური იოსებ დაჭ. ფეხში. ს. სართიჭალა 1) სანდრო ცერცვაძე მოკლულია, 2) ჩაკიღლაძე ანდრია დაჭრ. თეძოში, 3) სერგო კენკაშვილი დაჭრ. მარჯვენა მკლავში, 4) სანდრო ჯორიშვილი დ ჭრ. მარცხენა ხელში, 5) იოსებ ჭანტარაძე დაჭრ. თავში, 6) ალექსი ჯავახიშვილი დაჭრ. ფეხში, 7) ლადო ჯორიაშვილი დაჭ. მარჯვენა ხელში, 8) სანდო რთველაძე გაგუდა და ფრონტზე დაიკარგა. ს. კაკაბეთი. დიმიტრი ოქრომჭედლიშვილი დ ჭრილია მარცხენა ფეხში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეძლება თფილისში ანანურის გასავალი № 4 ოქრო ლაცაბიძესთან.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

შალვა ნესტორის ძე კაკაბაძე ყოფილი ჯარისკაცი (წმსროლ. გრენად. ჰოლ.) იმყოფებოდა 1917 თებერვლამდე ქალ. როსტოვში. თებერვლის შემდეგ არავითარი ცნობა არა გვაქვს და თუ ვინმემ რაიმე იცით, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ელისაბედის ქუჩა № 86 თამარა ფლენტს.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲐᲓ. ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

(რაჭა-ლეჩხუმის და თფილისის დამცველი რაზმის საყურადღებოდ).

რადგანაც ჩემზე ჰპირებს ავრცელებენ და უსამართლოდ ციხეში მწამებენ მოროტი ადამიანები, ამიტომ გთხოვთ მოახდინოთ კრება, რომ იქ აღვადგინო ჩემი სიმართლე. მანამდე კი მოკლედ ვაქვეყნებ ფულების ანგარიშს.

რაზმის სასარგებლოთ შეგროვდა სულ 5346 მ. დახარჯა 5560 მ. 15 კ. ჩემია დახარჯული 14 მ. 15 კ. სურათების ფული 415 მან., ანგარიში გადაეცი ევგენი დვალს, რომლის ხელმოწერილი ბარათი მაქვს.

ვასილ კერვალიძე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

მეოთხე რაიონული კოლექტივი ს. ს. დ. მ. პ. მოუწოდებს თავის წევრებს შემოიტანონ მიმდინარე წლის

საწევრო გადასახადი

და მით ხელი შეუწყონ ორგანიზაციულ მუშაობას. ბიურო დაა ყოველ დღე 10—1 ს. და 5—7 საათამდი. მისამართი ოლდის ქ. 29.

მე-4-ე რაიონული კოლექტივი.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲐᲚ. Გ. ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ.

იღებს სადოქტორო ავათმყოფი საღამოს 5—7 საათ. კვირობის გარდა. მიხეილის ქუჩა სახლი ადამოკისა № 111. (მე-2 ფლიგელ) ველის ტელეფონი № 49.

ᲔᲙ. ᲓᲘ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ოდებულობა: შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მიდათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ჯ. Თ. ᲪᲥᲘᲤᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ᲮᲐᲛᲫᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘ

მიხეილის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე, ფოსტის მახლობლათ შესასვლელი ბელგიის ქუჩიდან—აფთიაქის პირდაპირ ვენერიული, კანი, სიფილ. (606 და 914 შეშხაპუნება) შაშარდე და ხახვეხი ორგანოთა ხნეულებანი. სადამოს 5—7 საათ. (25—5)

ᲔᲥᲘᲛᲘ Გ. Შ. ᲨᲐᲨᲘᲐᲜᲘ.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლდის ქ. № 33.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

Გ. ᲗᲝᲚᲓᲨᲢᲔᲘᲜᲘ

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტლისა და ქენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 10—1 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Დ. Ვ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ელერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ნ. Ბ. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

სპეციალურად—ბაგშვისა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი ელექტრონ და ფილტვებისა, ყოფილ ბანოვის-ქუჩა № 10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელ. 17—68.

ᲙᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲮᲐᲤᲘᲛᲘ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲯᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲤᲠᲘᲡᲘᲡ ᲥᲣ ᲒᲔᲠᲜᲘᲚᲘᲡᲐᲡ

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—55.

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲥᲐᲚᲘ

Რ. Ბ. ᲨᲘᲨᲚᲝ-ᲡᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მედიცინის დოქტორი ქენევის უნივერსიტეტისა და ლეიბნიცერგის მედიკურ ქირურგიულ კოლეგიისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სამბეთი დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐᲜᲘᲡ ᲥᲣ

ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ

იღებს სპეციალურად—ბაგშვიანთ (ცოლებ) და მისი შეუდგებით დასნეულებულთ, ხანგრძლივ ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოობით 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მიხაილოვის ქ. № 11. ბაგრელის ბოთიკის ახლოს.

ᲡᲐᲯᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ.

ეცალ ნეიტრალ ᲡᲐᲗᲐᲠᲗᲝ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲓᲝᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ

მსმენელები მიიღებენ მოწმობებს 4, 6 და 8 კლასის მთავრობის გიმნაზიების ყოველივე უფლებით.

მეცადინეობა დაიწყება 20 მარტიდან. ცნობები მიიღება საღამ. 6—8 საათ., გოლოვინის პროსპ., ყოფილი კადეტთა კორპუსი, კანცელარია მარჯვნივ.

(1—1) გამგეობა.

მუშტაიდი **ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ** მუშტაიდი

დღეს კვირას, 16 მარტს ძალიან ბ. არაბიძის ძონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ᲧᲐᲩᲐᲦᲔᲑᲘ

5 ძოქ. და 7 საათზე.

ბილეთების ფასი სახალხოა, დასაწყისი საღამოს 6 ნახ. საათზე.

რეჟისორი პ. ფრანგიშვილი. (1—1)

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ ᲕᲔᲠᲐᲖᲔ

ოლდის ქუჩა № 29.

მეოთხე რაიონის ს. ს. დ. მ. პ. კოლეგ. არსებ. ქართ. სახ. წარ. წრე

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 16 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ 1919 Წ წრის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნება

ᲡᲘᲪᲘᲪᲔ ᲡᲘᲛᲐᲛᲠᲘ

კომედია 3 ძოქ. 3 ᲒᲣᲜᲘᲗᲘ.

მონაწ. მიიღ. ქ. ანკარა, არჯევანიძე, ბაქრაძე. ბბ. ლ. მეტრეველი, თვარაძე ძნელაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი გ. ციმბარელი. გამგე ლ. ბერიტაშვილი.

მზეიდენა შემდეგი პიესები: ქრისტინე, ციმბარელი, გამცემი, ეპეპ, უბედური, ხანუმა, დაძმა, არხენა და სხვ.

ვისაც სურს სცენაზე მუშაობა ქალებს და კაცებს ვეთხოვთ მიმართონ წარმოდგენის დამეს გამგეს. ბილეთები უკვე იყიდება.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲑᲐ

იწვევს სამსახურში აგრონომიულ პერსონალს: ორ რაიონის აგრონომს, ორ ინსტრუქტორს (სპეციალობა ერთია—მებოსტნეობა მეველობა, მეორისა—საქონლის მოშენება) და ხუთ—მანქანების სუფლიერეს გამგეს. ჯამაგირი აგრონომებს 1,100 მან, ინსტრუქტორებს 900 მან და საუფლიერეს გამგეთ—500 მან. თვეში დღეურისა და გზის ხარჯის გარდა. დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება თფილისის მაზრის ერობის აგრონომიულ განყოფილებაში (რუსთაველის ქუჩა № 6)

გამგეობის წევრი ლ. მამუკაშვილი.

(3—1) მაზრის აგრონომი ი. ქურდიანი.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

კვირას, 16 მარტს, დილით „ᲒᲘᲫᲘᲡ ᲫᲐᲚᲘ“. სალამის სიბანეევის, სარჯაშვილის, ფრონსკის, ნიკოლაკის მონაწილეობით

ᲤᲐᲣᲡᲢᲘ

ორშაბათს, 17 მარტს „აფრიკანკა“

ᲜᲐᲕᲗᲘ

სასურსათო განყოფილება ქალაქის თვითმართველობისა ამით აცხადებს, საუბნო სასურსათო და სარაიონო კომიტეტის საყურადღებოთ, რომ შაბათს, 15 მარტიდან დაიწყება 10 ქვაბი ნავთის განაწილება ქ. თფილისის მცხოვრებლებთა შორის, ნავთი მიეცემათ მე-6 სერიის ბარათების 2 და 3 ტალონების წარდგენის შემდეგ, თითო გირკანქა სულზე და არა უმეტეს 5 გირვანქისა ბარათზე, მოკრილი ტალონები არ მიიღება. ნავთის ფასი საწყობში ფუთი 34 მან. 25 კაპ. ფული გადახდილ უნდა იქმნეს ორდერის მიღებისთანავე. საარაონო და საუბნო სასურსათო კომიტეტები მოვალენ არიან დაარიგონ ნავთი არა უმეტეს 44 მან. ფუთი.

(2—1)

მიმდინარე წლის მარტის 25-ს ნაშუადღევის 3 საათზე ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა იწვევს სამაზრო

ᲮᲝᲪᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

(3—1)

ᲐᲜᲝᲜᲡᲘ **ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ** ᲐᲜᲝᲜᲡᲘ

შაბათს, 22 მარტს,

ქართული დრამატიული საზოგადოების

ᲡᲢᲣᲓᲘᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

დაწვრილებით აფიშებში. დიასახლისი ა. ი. ქავთარაძე.

(2—2)